

გაზეთი ბეჭდის „ვერსიას“ ერთი

ლიტო ბელოვანი

გვ. 2

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№23 (1049) 2 - 3 მარტი, 2015 წელი

საქართველოს გაყრდნობისთვის

ის, რაც სწავლავს წინა კვირაში

„გზის განდევნიდან უამრავი თანხა „გყდება“ ...

დარღვევები თბილისი-რუსთავის ავტობანზე



გვ. 6

ნოდარ ჯავახიშვილისა და „ვერსიის“ ექსპერიმენტი

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე არ გახსნილა! ერთი თეთრიც კი არ დაუბრუნებიათ. ბიძინას არ უნდოდა ამ საქმის გახსნა, ამბობდა, ჩემი ბანკიაო. წინააღმდეგობას ვუწევდი, ვეუბნებოდი, რას ნიშნავს, შენი ბანკია? თუ კანონი ირღვევა, შენი და ჩემი რა შუაშია, პასუხი ყველამ უნდა აგოს-მეთქი!.. სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი ნაციონალების მოსყიდულია!“

ბორის ნემსოვი ეფესბე-მ მოკლა?



გვ. 7


პუცინური მკვდელობების 20-წიანი ანალოგის და კრემლის საიდუმლო დოკუმენტი, სადაც ნემსოვი 1030-ჯერაა ნახსენები

ხათუნა ლაბაშიძე:
ზუსტად უნდა დავინახოთ
ჩვენი პრობლემა!



გვ. 7


ნუკრი ქანთარია „რუსთავი 2“-ს გადლობას უხდის



რაცომ ჰქვია ორი სახედი და რა შერჩა ხახვივით — გაპოდიციკოსებუდი რეჟისორის აპოდიციკური პორტრეტი

გვ. 4-5

რუსთავის ციხეში პროპოკასტია გააღდება?!



რა ინფორმაციას ფლობს სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე — ინტერვიუ ვახი ვახიშვილთან

გვ. 3

„კურდღლებს ვითხარე“

რაცომ არ იცის ვაჭიმარმა გიორგი ჩ-მ შური ძმის მკვდედზე



გვ. 8

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ვაჭიმარის ღლიური

დიტო ბალოვანი

...ამის შემდეგ ბერიკაცი მოყვა ლანძღვა-გინებას; ლანძღვდა ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც კი გაახსენდა. ერთხელ რომ ჩამოუარა, ახლა მეორედ შეუკურობა ყველას, ვაითუ ვინმე გამომრჩაო, და ბოლოს საყოველთაო ლანძღვა-გინებით დაასრულა. ბევრს ისეთსაც გადასწვდა, ვისი სახელი არც კი იცოდა, მაგრამ მათ ასე იხსენიებდა: „აი, ის, რა ჰქვია იმას“, და ბოლო აღარ ჰქონდა იმის ლანძღვას და გინებას

(მარკ ტვენის, „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)

ეს ბერიკაცი მე ვარ. მას შემდეგ, რაც ლარის კურსმა ვარდნა დაიწყო, ვლანძღვდა ყველას და ყველაფერს, განსაკუთრებით კი მას, ვისაც ნაცებთან აქვს შეხება. საახოვით ვინც, ყველას ვიხსენიებ და ბოლოსთვის საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ-ი) ვიტოვებ ხოლმე: „ეს ჩემი სებ-ი“, „ამ ჩემი სებ-ის“, „ამ ჩემი სებ-ით“, „ამ ჩემი სებ-მა“ და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სტრიქონები ჩემი საახლოლობის (დიდი საახლოლობის) ემოციურ ფონზე ინერება, არანაირი უფლება არ მაქვს, ოდენ მხოლოდითი რიცხვით დაგკმაყოფილდე და ამიტომ — „ეს ჩემი სებ-ი“, „ამ ჩემი სებ-ის“, „ამ ჩემი სებ-ით“, „ამ ჩემი სებ-მა“ და ა.შ.

ამ ხნის კაცი მოვიყარე (ბებიაჩემის პარალელური კლასელი ვარ), დღემდე არ ვიცი, რას ნიშნავს დღე, მშპ, ფისკალური გადასახადი, მიკრო და მაკროეკონომიკები და სხვა ეკონომიკური ტერმინები, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად, ბევრზე ბევრად უკეთ ვიცი, რას ნიშნავს ვალი და რას ნიშნავს ვალის გადახდა. მით უმეტეს, როცა ვალი სხვამ აიღო, ჯიბეში ჩაიღო, გაქრა, გადახდით კი შენი გადასახდელია.

საქართველოს საგარეო ვალს ვგულისხმობ. ნაცებმა რომ აიღეს, ჯიბეში რომ ჩაიდეს. გამქრალიყვნენ მაინც, მაგრამ აქ სხედან და ყრი-ამული გაუდით.

რა გახდა ერთი თვე? მხოლოდ ერთი თვე მინდა და მაგათ ვამღერებდი სერენადას! ისეთებსაც ვიცნობ, ორიოდე კვირას რომ იკმარებდნენ და სულ არ იქნებოდა ის, რაც ხდებოდა ნინა კვირასი.

ჯერ კიდევ ორი-ორთვენახევრის წინ ვამბობდი: „იქით — რუსეთ-უკრაინა, აქეთ — დოლარის საყოველთაო გამყარება, კიდევ უფრო აქეთ — ათწლეულების განმავლობაში დამყარებული და ნაცების მიერ ჩასვრული ეკონომიკა, ცოტათი — ნაცების და რუსთავი-2-ის მიერ ატეხილი პანიკა, ცოტათი — ბანკების მაიმუზობა და, კიდევ უფრო მეტად — ამ ჩემი სებ-ის ნარსული, აწმყო და მომავალი“.

ამას ვამბობდი მე — ეკონომიკასა და ფინანსებში აღმამფოთებლად არაკომპეტენტური, მაგრამ ვამბობდი ჩემად, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ეკონომიკასა და ფინანსებში აღმამფოთებლად არაკომპეტენტური ვარ, პური მეპურემ უნდა აცხოს, მეპურეები კი ამ ჩემი სებ-ით ერთობ კმაყოფილები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, შეფოთებული და აღმამფოთებულ ხმას არავინ იღებდა... სანამ გასული კვირა არ დადგა.

საერთოდ, ვეთანხმები, რომ „ზოგჯერ იმპითაც დაშავდები“, თუმცა ეს — ზოგადად, მაგრამ, როცა საქმე ნაცებს ეხება, როცა მათზეა საუბარი, დასამალი და სარევერანსო არაფერია, ჯეკ!! ვის უნდა ვეფეროთ, ჰეე?

აი, ეს იყო კარგი, სწორი, თუმცა — ცოტა დაგვიანდა: „საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ქვეყანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის „უმოქმედობაში“ მიიყვანა. როგორც ივანიშვილი ლარის კრიზისთან დაკავშირებით გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში განმარტავს, „ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები აშკარად ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ქვეყანაში შექმნილი არასწორ მოლოდინთან, სპეკულაციურ გარიგებებსა და ავითატუთან, რომლის შექმნასაც დიდი მონდობებით ცდილობენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათი ექსპერტები“.

და ლარმა გამყარება დაიწყო. ამის შემდეგ კი დაიწყო ის, რაც აღმამფოთებელიც იყო და ამარზუნებელიც — ვინც მანამდე ქადაგიძეს თავზე ხელს უსვამდა და, თუ არ ამართლებდა, ყოველ შემთხვევაში — არ ადანაშაულებდა მაინც, ყველა ერთმანდაც აყაყენდა, რომ ქადაგიძე არის ეს, ქადაგიძე არის ის, ქადაგიძე არის ისეთი და იმნაირი...

კითხვი — „ესეც“ არის, „ისიც“ არის, „ისეთიც“ არის „იმნაირიც“, მაგრამ რატომ? რატომ არის ისეთი და იმნაირი? პასუხი მარტივია — ქადაგიძე არის ნაცი და როგორც შუა თითისგან არ გამოვა სალაშქარი, ისე ნაცისგან არ გამოვა კაცი. ნაცია ადამიანი?! ასე კი არა... ნაცი ადამიანია?

ამ ბოლო დროს რიტორიკული კითხვები შემევიყარდა.

ახლა, მაინცდამაინც ივანიშვილს უნდა ეთქვა, ეს ჩემი სებ-ი თავიდან რომ ყროლებდა? რა, არ იცოდნენ? იცოდნენ, მაგრამ, როცა საქმე ინიცი-ატებაზე მიდგება, ეგერევე ბუჩქებში იმალეობან ხოლმე, იმისი არ იყოს — „იკვილოს სხვამ და ვიკვილებ მეც“.

საქართველოს ბეჭეჭვითუნასისი



აი, თქვენ კი გაკვივლათ სერენადა იმან, ვინც მომავალი არჩევნებისთვის საპარლამენტო სიას შეადგენს!

„მოავრობა ადმინისტრაციული ხარჯების 12 პროცენტით შემცირებას აპირებს, — ამის შესახებ ვიცე პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვიციანი ვილმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „იმედის კვირაში“ ჩართვისას განაცხადა. როგორც მინისტრმა განმარტა, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება სწორედ „ქაშინების შემოჭრის“ ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებაა. „ქაშინების შემოჭრა პირველი ადექვატური ნაბიჯია, როდესაც ხედავ, რომ შენი მოსახლეობა საკმაოდ დაზარალდა კურსის ცვლილების გამო. რა თქმა უნდა, პირველად მთავრობა ვალდებულია, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების კუთხით გადადგას ნაბიჯები. ჩვენ ამ კვირაში დეტალიზებულ შემცირების გეგმას წარმოვადგენთ. საუბარი დაახლოებით იმავე პროცენტით შემცირებაზე, რაც მოხდა დეკლავაციის პირობებში. დაახლოებით 12-პროცენტის დეკლავაცია და ამვე რაოდენობის ხარჯების შემცირებას მოვახდენთ“, — განაცხადა გიორგი კვიციანი ტელეკომპანიაში. — ჩემი მეგობარი სააგენტო პურეალიტიცი არის და ადეკვატურიც, სტრიქონებს შორის ამბობს, აბა, რა უნდა ვთქვა, კომენტარი თქვენთვის მომიხდაო.“

„აფსუს, რა ხე-ბარაქ-დოვლათიანად ვცხოვრობთ 12-პროცენტის დეკლავაციამდე და იფ, რა არხინად ვიცხოვრებთ „ქაშინების შემოჭრის“ ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შემდეგ!“ — ეს არის ჩემი კომენტარი. დღე-ს მნიშვნელობა ჯერაც არ ვიცი, ამას ახლა „ად“ (ადმინისტრაციული ღონისძიებები) და „დშ“ (დეტალიზებული შემცირება. ცუდი არ იფიქროთ) დაემატა.

კობოროსი არ იყოს, მე ვარ დებილი! „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დეპუტატის ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, გაუგებარია, რატომ არ მიეცათ მას და სერგო რატიანს მთავრობის სხდომაზე შესვლის უფლება, რადგან მათ, როგორც პარლამენტარებს, ამის უფლება ჰქონდათ. ჩვენ ვართ მოსახლეობის მიერ არჩეული და კანონით გვაქვს მონიჭებული ეს უფლება, რომ დავაკვირდეთ, როგორ მუშაობს მთავრობა, მათ შორის შეკრების დროს. აქ არ არის საუბარი, რომ ჩვენ რაიმე საკითხის დაყენება მოვითხოვთ დღის წესრიგში. ჩვენ მაინც გადავივით მთავრობის საპარლამენტო მიღვანს ჩვენი გეგმა, იმედია, გადახედავენ მაინც და განიხილავენ“, — განაცხადა რიჟა-ზურაბამ, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის გამო ჯაფარიძის გვარს რომ ატარებს.

მათი გეგმა ნულოვანი ტოლვანტობაა, მათი გეგმა არის „ყველას სულს ამოგხდით“ და „ყველას ციხეში დაგალობთ“, მათი გეგმა არის „ყველას ჩაერეცხავთ“. აი, სწორედ ეს გეგმები უნდა განვიხილოთ, ყველანი შემოვიჭერთ ატარებს და ბოლო-ბოლო გაიკრევა, ვის მიერ არიან არჩეულები და, რაც მთავარია, რა უფლებებს მინიჭებენ მათ სასამართლო (მას შემდეგ, რაც

გვენებებ და ამტკიცებენ) და სასჯელს დასჯილ დამნაშავეებს. ან იმისთვის, რომ მოახლოვდნენ დამამტკიცებელი საპარლამენტო არჩევნები

„2016 არის ჩანიშნული არჩევნები, მაგრამ თუ იქნება ვადამდელი არჩევნები პრობლემას ვერ ვხედავ. „ქართულ ოცნებას“ აქვს ნდობა იმ პირობებშიც, რა პირობებშიც ვცინებს მუშაობა. თუ ვადამდელი არჩევნები იქნება, მართლაც დაინახავთ შედეგს. თუმცა, ვფიქრობ, მომავალ

ნიშნები... მამედე, იქნებ, ჯერ სასჯელი ნიშნები აგეთვისებინათ და მერე, ვადამდელი არჩევნების შემდეგ, თითო საშეკრებ ნიშანი წარწერით „პარლამენტის ყოფილი წევრი“ ჩვენზე იყოს.

სამკერდე ნიშანი რა... ის ხომ არ ხარ... ჰამელა ანდერსონი!

მკერდი უკვე თავად არის ნიშანი, თუმცა ვიცი, ჯენიფერ ლოპესი და ხათუნა გოგორიძე იმისთვის, რომ იმედიან ჰყავთ.

სასჯელი ნიშნების სწავლებაზე გამახსენდა. გასულ კვირაში შესაბამისმა ორგანომბმა დავით კირკიტაძე დაიბარეს, მაგრამ კირკიტაძე აქირკაბია, სწავლობს. კირკიტაძე შემოთვალა, საქართველოში სწავლის დასრულების შემდეგ ჩამოვალა.

ეგ რომ რამეს ისწავლის, მაშინ გოგა ხაჩიძე ნუგზარ ნიკოლაურზე ავა. ისინი სწავლის მძებნელი, მოყვებ დავითის მცნებასა... „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა — სიბნელი“ — ამტკიცებდნენ ბონდო და ფრიდონ დოლაბერიძეები ფეხბურთისა და მაღალ დეპორტარისგან თავისუფალ დროს.

მასხოვს, ილიაში კონსტიტუციააოჩრდილი ზაქარია ქუცნაშვილი ავლაბარში დაბრუნდა, მარგველაშვილი მუხლანში უნდა განვანათლოო, გასულ კვირაში კი პარლამენტში ნინო გვენეტაძის კანდიდატურის განხილვაზე არ მივიდა — არ მინდა, ჩემი დასწრებით რამე შეგავლენა მოვახდინო.

ე, ბიჭო, ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება, ფიფას პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება, ცოტაც და ლამის მთლიან შვიდეულში მალე ყველგან რაღაც არჩევნები ჩატარდება და ქენით სიკეთე, არ დაასწროთ ქუცნაშვილი, თორემ მერე, ხომ იცით, ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება და ეგეც არ იყოს, მგონი, ჩვენთანაც ახლოვდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და მოისხით მაღლი, ნუ დაასწრებთ ქუცნაშვილს, ხომ იცით...“

ამ ხნის კაცი მოვიყარე და უკვე ვიცი, რომ არაფერიც არ ვიცი. მაგრამ ეს მე და კობორა ვართ დებილოები, რომ ვერ ვაზროვნებთ, თორემ საქართველოში მოაზროვნებს რა დალევს? განდა შანსი, რომ ნანა ყვინიშვილის ნიჭის თავიანისმკვეთელი, დავით საგანელიძე „ქართულ ოცნებას“ მოაზროვნებით აავსებს. მოსიძე და რამე...

ისე, ხალხს ვიცნობ, იმდენი ნიგნი აქეთ წაკითხული და ისეთი ინფორმაციებს ფლობენ, მოსიძის მოაზროვნებს არც დაუსიზმრებთ და, თან, ჩემები, მთელი ეს წლები არც პოპოლიცის დაფიქსირებას მორიდებინან და არც მუშტების ქნევას. რა ვიცი, რა ვიცი... კარგია, რომ საგანელიძე მოსიძის ბიჭებმა იცინან რა, სად და როდის, მაგრამ ცუდია, რომ არასოდეს უკითხავთ რატომ, რისთვის, ვისთვის და როდემდე.

ეგრე, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ვახტანგ რჩეულიძე იმამეც ბევრი რამ იცის, მაგრამ რად გინდა? ა ბატონო, მისი სიტყვები: „ნემცოვის მკვლელობამ დაგვანახა, თუ რა საშიშია პუტინთან ბრძოლა, კერძოდ რა საფრთხის ქვეშ ცხოვრობს ბოლო წლებში თუნდაც მიხეილ სააკაშვილი. კარგია, რომ დღეს ის ისევე ოციკალიური პირია და უკრაინა მაინც იცავს. ისევე, როგორც ის იცავს უკრაინას. ნუ მოვთხოვთ ივანიშვილს გმირობას — პუტინთან შეურიგებელი ბრძოლა სასიკვდილოდ საშიშია. არც ადამიანს ინდობს და არც ქვეყანას. მიხარია, რომ საქართველოში ომი აღარ არის და არავითარი სურვილი არა მაქვს, ბრძოლის ეპიცენტრში ისევ საქართველო აღმოჩნდეს. მხოლოდ ის შემიძლია, ვუსურვო წარმატება უკრაინას და მიშა სააკაშვილს მხევთან ბრძოლაში. მე ვლოცულობ მათთვის“.

„ვკითხე, ემინოდა თუ არა თავისი უსაფრთხოების რუსეთში, განსაკუთრებით ახლა. მიპასუხა, რომ პუტინის თავისი გაგებით ცხოვრობს და არ ჰგონია, რომ დიდი ხნით ჩასვან ციხეში. მე შევანყვეტინე და ვუთხარი, რომ უფრო მეტად მონამელის უნდა ემინოდეს ნითელდინიანი ბოკალით, რომელიც ხელში ეჭირა და არა დატყრის, მაგრამ როდესაც მის გამომეტყველებას შეეხება, მიხვდება, რომ უაღრესად ეხსურება“, — ეს, ალბათ მიხვდით, სააკაშვილის სიტყვებია.

რჩეულიძე იმამეც და სააკაშვილზე გამახსენდა, რომ გასულ კვირაში საქართველოში იშვიათ დაავადებათა საერთაშორისო დღე აღნიშნა, მაგრამ თუ იშვიათობაზე მიდგა საქმე, ერთი მართლაც რომ იშვიათი სათაური უნდა გავიხსენო, რომელიც გასულ კვირაში ჩემმა მეგობარმა სააკაშვილს შემოგვთავაზა — „ზურაბ აბაშიძე: თუ ზურაბ აბაშიძე არის საგარეო საქმეთა მინისტრი, ესეც თქვას ხელისუფლებამ“.

მოკლედ, კრამერი კრამერის წინააღმდეგ. და კიდევ ის, გასულ კვირაში ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, ხორვატიის პრეზიდენტს, ქალბატონ კოლინდა გრებარ-კიტაროვიჩს რომ შეხვდა. ეს შეხვედრა სამკერდე ნიშნებმა გამახსენდა. დავით უსუფაშვილიც, ალბათ, სამკერდე ნიშნებზე ფიქრობდა

„**გ.ს.ბ. (ჯერ სად ხართ)...** თან ისე ილანძღებოდა, რომ წინანდელი არაფერი იყო ამასთან შედარებით.

(მარკ ტვენის,

„ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“)



რუსთავის სიხეში პროვოკაცია მოხდება?

რა ინფორმაციას ფლობს სასჯელსრულების მინისტრის მოადგილე — ინფერვიუ კახი კახიშვილთან

ენიშ კომპანიძე
599-95-33-16

მართავენ თუ არა ციხეებს ისევ ნაციონალები, რატომ ელიან პროვოკაციებს და დასჯის რეჟიმში ვინ გვემავს საბოტაჟს, როგორ ვაჭრობენ პატიმრები საკუთარი ჯანმრთელობით ციხის ადმინისტრაციასთან და რატომ დატოვა სისტემა 10 ციხის უფროსმა? — ციხეებში გასაბრუნებელი 41-კანონიან რეფორმაზე „ვერსიას“ ექსკლუზიურად სასჯელსრულების მინისტრის მოადგილე კახი კახიშვილი ესაუბრება, რომელიც, გარკვეულწილად, პოლიტიკურ დუმილისაც არღვევს და აცხადებს, რომ ქვეყანაში რეგარეშე არჩევნების აუცილებლობა არ დგას.

— ბატონო კახა, რეფორმის ფარგლებში საკადრო წმენდა დაანონსებული არ ყოფილა, თუმცა მინისტრმა განაცხადა, ახალი სისტემა გვეჭირდება და ციხეების უფროსები გაუშვით. ამას როგორ ხსნი?

— კანონპროექტი საკადრო წმენდას არ ისახავს. ამის სურვილი რომ გვექონოდა, არაერთი ხერხი არსებობს და 41 კანონი ცვლილებების შეტანა და ამდენი შრომა არ დაგვჭირდებოდა. ამ პაკეტის მიღების შემთხვევაში, ციხის თანამშრომლები სამსახურში ქუჩიდან არ მოხვდებიან, სპეციალურ სწავლებას გაივლიან და ხელფასიც მათ საგამოცდო ქულაზე იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, ეს ბევრ თანამშრომელს არ მოეწონოს, რადგან, თუკი გამოცდას ვერ ჩააბარებს, სისტემა ვიღაცას დაემშვიდობება. როცა საუბარი ახალ სისტემაზე, სამსახურში, სისტემის რებრენდინგის შედეგად, ახალგაზრდების მიღება იგულისხმება. 9-წლიანმა პერიოდმა ამ სისტემის იმიჯი ისე შელახა, დღეს ახალგაზრდებს აქ მუშაობის სურვილი აღარ აქვთ, ამიტომ მეორე ეტაპი უწყების რებრენდინგი, ყველაფრის — სიმბოლიკიდან დაწყებული, ფორმებით დასრულებული — შეცვლა და გათანამედროვეება.

— გასაგებია, მაგრამ ციხეების უფროსების გაშვებაზე გკითხება: თუ რამეს აშკვებდნენ, კი არ უნდა გაეშვათ, უნდა დაგეჭირათ.

— ჯერ ერთი, ნაწილი საკუთარი განცხადებით წავიდა, რაც ჩვეულებრივი პროცესია. ხანდახან ადამიანს ჰგონია, დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს, თუმცა, როცა ციხეში რეალურად მოხვდება, ხვდება, კონკრეტული ამოცანები მის ძალას აღემატება. მათგან ერთის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგა. დანარჩენები კი თავად წავიდნენ. შებოჭილი არავინ არაფერშია. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც უფლებამოსილებას გადააჭარბებს, კანონით დადგენილი წესით დაისჯება, თუმცა პატიმრებმაც უნდა იცოდნენ: რა პრინციპული მიდგომაც თანამშრომლებისადმი გვაქვს, სამინისტრო შესაბამისი რეჟიმის პირობების შესრულებას მათგანაც ასეთივე პრინციპულობით ითხოვს.

— ცვლილებათა პაკეტიდან ყველაზე მეტს ე.წ. უდო-ს კომისიის გაუქმებაზე საუბრობენ. ვიცით, რომ პატიმრების ვადამდე გათავისუფლებაზე 5 ადგილობრივი საბჭო იმუშავებს და აქამდეც ასე იყო, თუმცა არსებობდა ეჭვი, რომ უდო-ს კომისია მხოლოდ „ელიტური პატიმრების“ საქმეებს განიხილავდა. რატომ არ შეიძლება, ეს საბჭოებიც იგივენაირად მოიქცნენ, დაცვის მექანიზმი არსებობს?

— ე.წ. უდო-ს კომისია ჯერ არ გაუქმებულა. ჩვენი აზრით, ის უკანონო ორგანოა, რომლის გადაწყვეტილებები ხშირად სასამართლოს ეწინააღმდეგება, რაც იურიდიული ნონსენსია. საბჭოები ვალდებული არიან, ყველა იმ პატიმრის საქმე განიხილონ, ვისაც ვადამდე გათავისუფლება კანონით უნდა. ე.წ. უდო-ს კომისია თავად წევრებს, რომელი საქმე განიხილა და რომელი არა. საბჭოების საქმიანობას დეზულებს არეგულირებს. ასე რომ, სხვაობა დიდია, თუმცა მუშაობის მექანიზმი საბჭოებშიც დასახვეწია. ევროკავშირის ექსპერტებთან სწორედ ამიტომ ვმუშაობთ, რათა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც ვნახოთ და შევადგინოთ, საქართველოს რეალობას რომელი მექანიზმი უფრო მოერგება. შესაძლოა, ახალ მოდელში, საბჭოებთან ერთად, სასამართლოც ჩაერთოს... მთავარია, მსჯავრდებულს სამართლიანობის განცდა ჰქონდეს და იცოდეს, მისი გათავისუფლება იმაზე არაა დამოკიდებული, ვინ დარეკავს და ჩაერევა, თუმცა იმასაც ვხედავთ, რომ საბჭოების მექანიზმი გასამართალ და ყველა სტანდარტს არ აკმაყოფილებს.

— ამჟამინდელ საბჭოებს რას უწუხებთ?
— თუნდაც იმას, რომ საკუთარი საქმის განხილვას ანუ ზეპირ მოსმენას ყველა მსჯავრდებული ვერ ესწრება; არც ის მომწონს, რომ საბჭოს წევრებს, უდიდესი დატვირთვის მიუ-

ხედავად, ანაზღაურება არ აქვთ. ისიც ცუდია, რომ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების სრულყოფილი მექანიზმი არ არსებობს. ამიტომაც შევთანხმდით, რომ ეს მოდელი დასახვეწია და კვლევაში ევროკავშირი ჩავრთეთ. ახალი მოდელის პრეზენტაცია მალე გაიმართება და მეორე ეტაპზე — ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხების დახვეწაზე გადავალთ.

— ციხეში უკონტროლო ვიდეოგადაღება დღემდე მიდის, არც ამ მასალების შენახვის ვადა არსებობს. ეს საკითხი როგორ დაარეგულირებთ?

— კამერების საკითხი საერთოდ ჰაერში იყო, ვიღაცამ ჩათვალა, რომ კამერები უნდა იდგეს, მაგრამ ამისთვის სამართლებრივი საფუძვლები არ მოაზრდა. უკვე მომზადებულია მინისტრის ბრძანების პროექტი და ეს თემა სამართლებრივ ჩარჩოში მოექცევა. განერილია მასალების შენახვის დრო — მინიმუმ, 12 საათი, ამის მერე კი, ჩანაწერი იმდენ ხანს შეინახება, რის საშუალებასაც ტექნიკა მოგვცემს; შემდეგ ახალი მასალა გადაენერება და ძველი ჩანაწერი ავტომატურად წაიშლება.

— ისე, ომბუდსმენის ინიციატივაზე, რაც ციხეებში ფოტო-ვიდეოგადაღების დაშვებას ეხება, თავიდან უარი განაცხადებთ. რატომ, რა საფრთხეს ხედავთ?

— ამ თემაზე სამინისტროში სპეციალური სამუშაო ჯგუფია შექმნილი და ეს უარს არ ნიშნავს. არ დაგავიწყდეს, რომ ფოტო-ვიდეოგადაღებაზე გასაიდუმლოებულ დაწესებულებებში ვსაუბრობთ. ციხეებში ვინმე რამეს კი არ მალავს, უბრალოდ, რამდენიმე სერიოზული საფრთხეა: ჯერ ერთი, პატიმრების სახეების დაფიქსირება, მათი თანხმობის გარეშე; მეორე, ეს სარეჟიმო დაწესებულებებია, ობიექტების განლაგება, გუშაგები, დერეფნები, ლობები... გასაველელებისა და ვიდეომონიტორინგის კამერების მდებარეობა არავინ უნდა იცოდეს. ცნობილი არ უნდა იყოს, რა მასალითაა აშენებული ესა თუ ის კედელი. შესაძლოა, ეს ომბუდსმენისთვის საინტერესო არ იყოს, მაგრამ საინტერესო იმისთვისაა, ვინც შესაძლოა, გაქცევა დაეცემოს — თუკი ნახავს, რომ კორპუსის რომელიღაც კედელი აგურითაა ნაშენი, სწორედ იქიდან გაიქცევა, რადგან აგურის კედლის დაშლა ბეტონისაზე ბევრად იოლია.

— კი, მაგრამ დაინტერესებულ პირს ეს მასალა ხელში როგორ ჩაუვარდება?

— შესაძლოა, ვიღაცას არც აინტერესებს და არც ჩაუვარდება, მაგრამ თუნდაც მცირე რისკი ხომ არსებობს? ჩვენი ვალია, ყველა ეს რისკი გათვალისწინებული და 0,1%-იანი ალბათობაც არ დაუშვავთ, ამიტომ მექანიზმი — ვინ, სად და რა ვითარებაში უნდა გადაიღოს, დასახვეწია.

— იანვარ-თებერვალში რამდენიმე ტუსაღმა პირი ამოიკერა, ერთმა პატიმარმა თერმომეტრი გადაყლაპა, მე-7 დაწესებულებაში, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მოთხოვნით, 6 მსჯავრდებული შიმშილობდა... ციხეებში დღეს რა ხდება, ვითარებას აკონტროლებთ?

— ეს ჩვეულებრივი პროცესია. ხშირად პატიმრებს პრეტენზია ციხის ადმინისტრაციასთან კი არ აქვთ, თავიანთი საქმეების გადახედვას ითხოვენ. არის შემთხვევა, როცა უბრალოდ, ვაჭრობენ — მაგალითად, პირი, რომელიც ნახევრადლია დაწესებულებაში იმყოფებოდა და კრიმინალური მენტალიტეტის გამო დახურულ ციხეში მოხვდა, ამას აპროტესტებს; თერმომეტრის გადაყლაპვა კი იმ მიზანს ემსახურება, რომ პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში მოხვდეს, თუმცა ისეთი ფაქტებიც გვქონია, როცა ადამიანი ოპერაციაზე უარს აცხადებს. ციხეში უამრავი პრობლემაა და ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება. ცხადია, ნესრიგის დამყარებას ნაციონალური მეთოდით არ ვაპირებთ, მაგრამ ვერც იმას დაუშვებთ, ციხეს პატიმრები მართავდნენ. ეს რთული პროცესია, ბევრ პროვოკაციასაც ველით, მაგრამ პრინციპულ მიდგომას არ გადავუხვევთ.

— თქვენი არგუმენტები მესმის, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ პატიმრების ყველა პროტესტი არასწორია. დიდი ხანია, ციხეებში ხალხი ტუბერკულოზით აღარ იხილება?

— რას ამბობთ, ციხეებში ტუბერკულოზის მკურნალობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე სამოქალაქო საავადმყოფოებში. ჩვენთან მკურნალობის ხარჯიც ულიმიტოა. მეტსაც გეტყვით, ისეთი პატიმრებიც არიან, ვინც ვადამდე გასვლაზე უარი თქვას, რადგან ციხეში მკურნალობის სრული კურსის ჩატარება სურდათ. სამედიცინო საკითხები ახლა ბევრად მოგვარებულია, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი, ბოლო წლებში, საუკეთესო მაჩვენებელი გვაქვს. რაც მთავარია, ციხეში სისტემური დანაშაული არ ხდება, დამნაშავეებს ხელს არც სისტემის ხელმძღვანელები აფარებენ. დღეს სისტემა ცემითა და ნაშეობით არ იმართება.

— ანუ, მთავარი ხმა, ციხის ბუნების შესახებ, გადაჭარბებულია?

— ასეთი ხმა, ძირითადად, უსაფუძვლო და მართლაც, გადაჭარბებულია ხოლმე. არის შემთხვევები, როცა პატიმრები ვენებს სპეციალურად იჭრიან, რათა საზოგადოებაზე ეფექტი მოახდინონ. ფიქრობენ, შექმნიან პრობლემას და ხალხს კონკრეტული ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ განწყობენ. მერე იწყება ვაჭრობა — ამას აღარ გავაკეთებ, თუ ძველ ციხეში დამაბრუნებო. დახურული დაწესებულებიდან ნახევრადლიაში გადასვლა კი იმიტომ უნდათ, სხვა პატიმრებს ნურბელებით დაასხდნენ, მათი საჭმელი ჭამონ და ა.შ. რომ მიუშვა, ე.წ. ობშიაკების შეგროვებასაც დაიწყებენ — მათ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა. სწორედ ამიტომ შეიქმნა მულტიდის-კომპლენური ჯგუფი, რომელიც თითოეული პატიმრის პირად საქმეს შეინსწავლის და, თუ ის კრიმინალური სუბკულტურის მიმდევარია, შესაბამისი რეჟიმის ციხეში გაუშვებს. ამ ჯგუფში, ცვლილების თანხმად, სოცმუშაკი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოებისა და რეჟიმის სამსახური შევა და პატიმრის ამა თუ იმ დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაციით, სამინისტროს მიმართავს. ამ რეკომენდაციით მთავრობას დამატებითი ფინანსებს არ ვთხოვთ.

— ისიც ითქვას, რომ ნაციონალებს ციხეებთან, ქვეყანაში ვითარების ასარეგად, „კანონიერი ქურდები“, თქვენი გვერდისავლით თუ შეთანხმებით, პერმანენტულად გამოჰყავთ. ეს პოლიტიკური ინსინუაციაა და თუ მსგავსი რამ მართლა ხდება?

— ე.წ. კანონიერ ქურდები სასჯელს მეშვიდე დაწესებულებაში იხდიან, რომელიც განსაკუთრებული სარეჟიმო ობიექტია და თეორიულადაც შეუძლებელია, ამ დაწესებულებიდან ღამით ვინმე გაუშვა, მერე კი უკან შეიყვანოს, ეს სრული აბსურდია. ჩვენი დაწესებულებიდან პატიმრების, მათ შორის „კანონიერი ქურდების“ გაყვანა ნარმოუდგენელია!

— ისე, ნაციონალებს ციხეებზე რამე გავლენა შენარჩუნებული აქვთ?

— შესაძლოა, ამ პოლიტიკურ ძალას თანამშრომლები უთანაგრძობდნენ, ის ხალხი, ვინც სისტემაში მაღალ თანამდებობებზე წლების წინ დაინიშნა — ციხის უფროსები, რომელთაც პოლიტიკური ამბიციები აქვთ, თუმცა ისე ნამდვილად არ არის, სისტემაში ძველი ხელისუფლების გავლენა ვიგრძნობთ. მთავარია, სისტემის შიგნით საბოტაჟი არ მოხდეს და ამ პროცესსაც გამუდმებით ვაკონტროლებთ. საბოტაჟის სურვილი შეიძლება ბევრს აქვს, რადგან ციხიდან არეულთა დაწყება ძალიან ადვილია, მაგრამ ადამიანების თავში ნამდვილად ვერ ჩავძვრებით, თუმცა, თუ შესაბამის ინფორმაციას მოვიპოვებთ, რეაგირება მყისიერად იქნება და მზადებას ფაქტად აღმოვფხვრით, ან უსწრაფესი რეაგირება პოსტფაქტუმ გვექნება. მეთოდები მარტივია — მაგალითად, შესაძლოა, რომელიმე არხის პირდაპირ ციხეში პატიმრების ზარების ორგანიზება და ისეთი ფაქტების მოყოლა, რაც ნახევარ ქალაქს რომელიმე დაწესებულებასთან გაიყვანს, თუმცა იმას ვერაფერს შეამონებებს, იმ ციხეში რეალურად რა ხდება და მართლა პატიმრები რეკავენ თუ გუშაგები; ასევე ვერ შეუშლი ხელს რაღაც ჩანაწერების ინტერნეტში განთავსებას. გამოირიცხული არაფერია, რადგან სისტემა ძალიან თვალშია, მაგრამ რეაგირება ეფექტური იქნება და სამინისტრო თვალს ერთ მსგავს ფაქტზეც არ დახუჭავს!

— ბატონო კახი, ქვეყანაში ლარის კურსი არამყარია და ყველა ვადამდელ არჩევნებზე საუბრობს. დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ შეიძლება ფონი საპატიმროებშიც დაამძიმოს?

— ბუნების საფრთხე ყოველთვის არსებობს... ერთ მაგალითს გეტყვით: როცა რუსთავში 6 დაწესებულებაში, სარემონტო სამუშაოები დასრულდება, იქ კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი პატიმრების გადაყვანა იგეგმება და მათგან პროვოკაციებს უკვე ველოდებით.

რაც შეეხება გარეფაქტორებს, ეს სისტემაზე გავლენას მაინცდამაინც ვერ ახდენს. სხვა საკითხია, რომ შესაძლოა, არჩევნების დროს რომელიღაც ჯგუფს თავში აზრად მოუვიდეს რაღაც კადრების გაშვება, საზოგადოებრივი განწყობის ფორმულირება და ა.შ. ამისგან დაზღვეულია არავინა, თუმცა დღევანდელ პირობებში პატიმრების საარჩევნო ხმების რომელიმე ძალის სასარგებლოდ გამოყენების თეორია აბსურდულია. ზოგადად, ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნები არ იქნება, რადგან ამ ეტაპზე, ამის არც აუცილებლობა ჩანს და არც — სამართლებრივი საფუძველი.

...მის დანახვაზე ყოველთვის თელავის თეატრის გენიალური სპექტაკლი „ალაღ“ მახსენდება. საერთოდ, ვთვლი, რომ კარგი რეჟისორია, თუმცა ვერ გამოვიტყვი, თეატრი პარლამენტზე რატომ გაცვალა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, პოლიტიკაც ხომ ერთგვარი თეატრია, რომელსაც, ხილილთან ერთად, უხილავი რეჟისორიც მართავს... მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, თუ გაინტერესებთ, რატომ ჰქვია ორი სახელი, როგორ გრძნობს თავს — ლარივით თუ დოლარივით და რატომ ატარებს წვერს დეპუტატი ნუკრი (ალექსანდრე) ქანთარია, წინამდებარე არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ. მაშ, ასე: მიკროფონი ანუ ამ შემთხვევაში, დიქტოფონი ჩართულია, ჩანერა დაიწყო:

— ბატონო ნუკრი, როგორ ხართ — ლარივით თუ დოლარივით?

— არც ლარივით და არც დოლარივით, ფუნტივით ვარ!

— ჰოდა, რაკილა ფუნტივით ხართ, თან ლარის დეველაციაში ჩემს ფინანსებს სერიოზულად „დაარტყა“, ამიტომ, ძალიან მერიდებია, მაგრამ სიგარეტი უნდა მომანევიანოთ.

— მოწიეთ, მაგრამ, ხომ იცით, მავნებელია.

— ეგ ვიცი — ექსპრემიერმა აქციზის გაზრდა, თავის დროზე, სწორედ ამ მოტივით მოითხოვა...

— ყველაფერს ივანიშვილს ნუ დააბრალებთ!.. სიგარეტი მავნებელია და სულ ვფიქრობ, თავი დავანებო. იქნებ, ახლა მაინც მოვახერხო...

— დიდი ხანია, მწველი ხართ?

— (ჩურჩულით) სკოლიდან...

— ბატონო ნუკრი, ახლაც ისე ომანხანად ილაპარაკეთ, როგორც პარლამენტში ლაპარაკობთ ხოლმე, თორემ ჩანანერი ცუდი იქნება და „გაშიფვრით“ დავიტანჯებით. არ გეცოდნებოდა?

— (ხმას უწევს) მგონი, კარგი ჩამწერი გაქვთ.

— ეს მობილური სავალუტო კრიზისამდე კარგა ხნით ადრე შევიძინე... ისე, მოდური „მობილნიკი“ რატომ არ გაქვთ?

— მაქვს, მაგრამ არ ვიყენებ.

— ...დღეს ყველაზე ძალიან რა განუხებთ?

— მინდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურობამდე მივიღო.

— და ეკონომიკა არასტაბილური რატომ გახდა?

— ვანო, ამას ბევრი მიზეზი აქვს და კარგად იცი, რომ ეს მხოლოდ ჩვენი მიზეზით არ მოხდა — კუნძულზე არ ვცხოვრობთ: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რუსეთის პრობლემები, იქით ომი და... ყველაფერი კრიზისია. მეორე მხრივ, არ ვამბობ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რალაც დაგვემა, მაგრამ არ გამოვიტყვავ, მდგომარეობა, ალბათ, ცოტა მიუშვა.

— შეკითხვები „ოცნების“ ეკონომიკურ გუნდთან არ გაქვთ?

— ვფიქრობ, მეტი სიფხიზლე მართებდა, თუმცა ვატყობ, რომ მუშაობს. როცა ლარმა ციმციმი დაიწყო, იმ წუთიდან, ალბათ, მეტი სიფხიზლე იყო საჭირო, მაგრამ არის პროცესი, რომელსაც ვერ გააჩერებ, მით უმეტეს, საგარეო ფაქტორებს.

— კი ბატონო, მაგრამ მოდით, საშინაო ფაქტორებზე ვილაპარაკოთ: აღარც მახსოვს, როდის დაიწყო და არაერთხელ მითქვამს, რომ მაგარი რეჟისორი ხართ, მაგრამ...

— მაგრამ, რა გინდათ?

— ის მინდა, რომ დღეს პოლიტიკოსი ხართ...

ამ დროს თანაშემწემ თანამოსაუბრეს ყავა მიართვა, თუმცა ნუკრი ქანთარიამ იუარა, ჯერ ბატონო ვანოს მიართვით, თორემ ამასაც დაწერსო. დავპირდი, არ დავწერ-მეთქი...

— ბატონო ნუკრი, როცა მხარი იმ კანონს დაუჭირეთ...

— რომელს, გენაცვალე?

— იმ კანონს, რომელმაც სავაჭრო რეჟიმი გაართულა.

ჰოდა, არ გინდათ, აღიაროთ, რომ შეცდომა დაუშვით?

— ვანო, ჩვენი ხელისუფლება არ ვართ, რომელიც პირველ „ჩვენებას“ ჩააცვივდება. ასეთი ხელისუფლება ადრე იყო — კაცს მოკლავდა და ამბობდა, თავისით მოკვდა... შეცდომებს ვაღიარებთ და ჩვენი მთავარი დადებითი თვისება, რომელიც მოსახლეობამ კარგად უნდა გააცნობიეროს, ისაა, რომ ხალხის ხმა ძალიან კარგად გვესმის. თუ ეს კანონი შეცდომა იყო, გამოსწორდება.

— ხომ არ გავიწყდებათ, რომ ხელისუფლებაში მესამე წელია ხართ. საარჩევნო დაპირებით, მესამე წელი კარგი უნდა ყოფილიყო, მეოთხე კი, საუკეთესო...

— ყველა საქმეში ასეა — დასაწყისში ენთუზიაზმია, შუა ნაწილი რთულია, თუმცა შედეგი უკეთესი იქნება...

— თუ გადავრჩით, კი!

— ვანო, პოლიტიკოსი არ ხართ, ქულების მოპოვება რომ გინდოდეთ და რალაცებს ნუ აყვებით!

— ისე, ცუდი პოლიტიკოსი ვიქნები?

— შეიძლება, კარგი იყოთ, მაგრამ მშვენიერი პროფესიონალი ჟურნალისტი ხართ...

— გეხვეწებით, მითხარით, ვის აყვები?

— ახლა არაფერს აყოლილხართ, მაგრამ გაიხედ-გამოიხედეთ, ბევრი გამოჩნდა, რომელიც ფიქრობს, იქნებ, ადგილი დავიკავო... ვანო, ამ თემაზე თქვენი გამეცადინება არ ღირს...

— გაბრაზდით?!

— არა, რატომ?! ვფიქრობ, ყველაფერი აუცილებლად გადავივლი... საერთოდ, ბოლო პერიოდში ენთუზიაზმია ხოლმე... ვაღიარებ: ჩემი თვალთახედვით, რაც ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, 90-იანი წლებიდან, პროფესიონალების დევიციტს, რა თქმა უნდა, განვიცდით.

— აღმასრულებელ ხელისუფლებას რატომ არ სთხოვთ, პროფესიონალები მოიყვანოს?



ნუკრი ქანთარია „რუსთავი 2“-ს მადლობას უხდის

ჩაწომ ჰქვია ორი სახედი და რა შერჩა ხსვივით — გაპოდიციკოსებუდი რეჟისორის აპოდიციკური პორტრეტი

— ვინცაა, პროფესიონალები არიან, მაგრამ იმ შუა რგოლებზე ვლაპარაკობ, რომელთაც საქმე უნდა გააკეთონ. ძველი რეჟიმიდან კიდევ არიან შემორჩენილები. ზოგი ნორმალურად მუშაობს, ზოგი კი, ალბათ, გარკვეულ საბოტაჟში მონაწილეობს.

— ბატონო ნუკრი, ხომ მაქვს უფლება, ჩემი აზრი მქონდეს?

— არათუ აზრი გქონდეთ, ხმამაღლა უნდა გამოხატოთ — დღეს თავისუფალი სივრცე არსებობს, რომელსაც გამოყენება კარგად და კეთილად უნდა.

— თავისუფლებას აბსოლუტურად კეთილად ვიყენებ, მაგრამ რა ვქნა, ადამიანს, რომელიც, მინისტრის პოსტს შესთავაზებენ თუ არა, ემოციურ გაუგებრობას თავს აღწევს, პროფესიონალად არ ვთვლი!

— შეგიძლიათ, თქვენი აზრი ნებისმიერზე, მათ შორის, ჩემზეც გამოხატოთ, ოღონდ — კორექტულობის ფარგლებში.

— ახლა, თამარ ბერუჩაშვილზე რამე არაკორექტული ვთქვი?

— არა, არა...

— ფილმ „9+1“-ის გადაღებაში მონაწილეობას არ მიიღებთ?

— არ ვიცი, რა ფილმია...

— ვაიბე, ეს არ იცით? — ბიძინა ივანიშვილი ნაცებზე 200-სერიანი სერიალის გადაღებას გეგმავს...

— არ შემოუთავაზებიათ. თუ შემოთავაზებენ, შემიძლია, ჩემი გამოცდილება გარკვეულწილად წავახმარო...

— რა ამის პასუხია და, არ ბრაზდებით, კახი კალაძე რომ გებაძვთ?

— კალაძეს ჩემი მოსაბაძი რა სჭირს?

— რა ვიცი, თქვენსავით, წვერი მოუშვა და... ტიპური ლამბერესქუსალები ხართ!

— (იღიმის) ვანო, კარგა ხანია, მიცნობთ და იცით: ეს სიტყვა ნახსენებაც არ იყო, წვერს ძველი დროიდან ვატარებ.

— გინდოდით, სოლიდური იმიჯი გქონდით და თავის დროზე წვერი ამიტომ მოუშვით?

— რეჟისორობა რომ დავიწყებ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი — 22 წლის უკვე თეატრის სამხატვრო რეჟისორი გახლდით და წვერი, ალბათ, იმიტომ მოვუშვი, ასაკი მომმატებოდა. მე-რე კი ხახვივით შემრჩა და ვერც წარმომიდგენია, ყოველდღე გავიპაროს.

— ორი სახელი რატომ გქვიათ? სად ნუკრი და სად — ალექსანდრე...

— ამაზე მეც კარგა ხანს ვფიქრობდი...

— სინამდვილეში რა გქვიათ?

— ალექსანდრე.

— ნუკრი საიდან „მოვიდა“?

— ბავშობაში შემარქვეს.

— რატომ, შვილის ნუკრით იყავით?

— (იღიმის) ეტყობა, გამოხედვა... მოკლედ, მოფერებითი სახელი შემრჩა, რისი მომხრეც არ ვარ. ჩემს შვილიშვილს, 3 წლისაა, ალექსანდრე ჰქვია და ალექსანდრეს ვეძახით — არავითარი ორი-სამი სახელი.

— მსმენია, ადამიანს ორი სახელი იმიტომ უნდა ექვას, ეშმაკს თავგზა აუბნოსო...

— აბნევს, აბნევს...

— ბატონო ნუკრი, თქვენი ბიუროს კარზე წარწერა შევამჩნიე, „პარტია ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“. პარტია „ქართული ოცნება“ არსებობს?

— კარგი შეკითხვაა და ამაზე, მოდით, ცოტა ხანს გავჩერდეთ.

— კი ბატონო, გავჩერდეთ...

— პარტია „ქართული ოცნება“ არსებობს, გვინდა, გამართული სტრუქტურული ორგანიზაცია იყოს, მაგრამ ვერ მოვასწარით: კარგად იცით, 2012 წლამდე რა პერიოდი იყო, მერე იყო საპრეზიდენტო, თვითმმართველობის არჩევნები. ასე რომ, ისეთი ყურადღება ვერ მიექცა, როგორსაც პარტია იმსახურებს. ახლა კი ეს მომენტი დადგა. რეგონებშიც ვიყავით, პარტიულ აქტივს შევხვდით და ბევრია გადასახალისებელი. ერთია, როცა ბრძოლის დროს ლაშქარი იქმნება, მეორეა სტრუქტურული პარტია... აშშ-ში სულ ორი ძირითადი პარტიაა — რესპუბლიკელები და დემოკრატები, რომლის წევრებიც 2-3 ათასს არ აღემატებიან, თუმცა მხარდამჭერთა კლუბები, ორგანიზაციები აქვთ და არჩევნების დროს ყველაფერის თავმოყრა ხდება. ევროპული პარტია კი ვერტიკალზე აგებულია, რომელიც მუდმივად მუშაობს და კადრებიც იქიდან მოდის. შევთანხმდით, რომ ევროპული პარტია გვინდა, რომელსაც მუდმივი მუშაობა სჭირდება. ჰოდა, ეს პროცესი, იმედი მაქვს,

დაწყებულია — როგორც ვიცი, გარკვეული სტრატეგია იწერება და, თუ უახლოეს ხანში არ დაიდო, ალბათ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება და ასეთი მშვიდიც ალბათ ვიქნები.

— არ გეწყინოთ და, ამ პარტიას პოლიციისკენ აქვს მიდრეკილება: ერთი აღმასრულებელი მდივანი პოლიციელი იყო, მეორესაც პოლიციასთან ჰქონდა შეხება...

— მეორე პოლიციელი ვინაა, კაცო, გამაგებინეთ!

— ნუთუ, არ გსმენიათ, რომ ირაკლი კობახიძე შსს-ში მრჩველად მუშაობდა?

— როგორც ვაიცი, იურიდიულ საკითხებში კონსულტანტი იყო და ამაში ცუდი რა არის? მესმის, ირმა ნადირაშვილი გამოდის და ამას ამბობს, მაგრამ, ბატონო ვანო, მიკვირს, თქვენც რომ დაიხვიეთ.

— ნადირაშვილი კი არ დაიხვიეთ, ბატონო ნუკრი, ჯერ ერთი, ჟურნალისტი ვარ არა სულიერი მოძღვარი, რომ შევიდნოთ; მეორეც, თქვენი პარტიის პიარი არ მევალება...

— ეს გასაგებია და ხომ მოგყვებით?!

— ვიცი, რომ მომყვებით და „კაი ტიპიც“ ამიტომ ხართ, მაგრამ სჯობდა, პარტიაში უფრო სუფთა კადრი გეპოვებოდა...

— მოიცა, გავჩერდეთ: თუკი ადამიანი შსს-ში მუშაობდა, ესე იგი, გასვრილია?

— არა, მაგრამ იმ 9 წელში, რომელსაც „ოცნება“ შეიძვე ბრუნვაში ატრიალებს, ხომ იცით, პოლიციის მიმართ ხალხს შიში გაუჩნდა...

— ეს ახალგაზრდა იმ 9-წლიანი რეჟიმის დროს კი არა, ახლა, სულ რამდენიმე თვე მუშაობდა. მამამისს კარგად ვიცნობ — ერთად ვიბრძოდით, ბაბუამისი მალხაზ ზაალიშვილი „ქართული აკადემიის“ წევრი იყო. ძალიან კარგი ოჯახისშვილია, მაგრამ დახმარება აუცილებლად დააჭირდება...

— წელან თქვით, რეგონებში ვიყავითო. ხალხი ბიძინა ივანიშვილს უწინდებურად ენდობა თუ, მინიმუმ, კითხვის ნიშნები აქვს?

— რეგონებში ბიძინა ივანიშვილის მიმართ განწყობა არ შეცვლილა. მაგალითად, კახეთში ვიყავი და როცა რთველს ვახსენებდი, ყველა აღტაცებული იყო. ჯანდაცვაზეც ამბობენ, ოპერაცია მე კი არ გამოკეთებია, მაგრამ მეზობელმა გაიკეთა, კარგა და ბიძინასთვის, მადლობის მეტი, არაფერი გვეთქმისო, მაგრამ იცით, პრეტენზია რაზე აქვთ?

— რაზე?

— არჩევნებამდე რომ გვეუბნებოდით, შენ კარგი ხარ, ის კი, ვინც გამგებობაში, შუა რგოლში ზის ცუდი, ახლა ის კარგი გახდა, მე კი ცუდი ვარ და ეს როგორ მოხდაო. მოკლედ, პრობლემა, ძირითადად, დასაქმებაა, მაგრამ, რომ ვეკითხებოდი, ახლა არჩევნები რომ იყოს, შორიდან გვიყურებთ თუ რა იზამთ-მეთქი, გვპასუხობდნენ, რას ამბობთ, თქვენთან ვიქნებითო.

— ერთი სიტყვა, მეორე — საქმე... ნუკრი ბატონო, რასაც ახლა ვკითხავთ, თავი არ აარიდოთ და ან დამიდასტურეთ, ან უარყავით: არსებობს მოსაზრება, რომ უმრავლესობაში არის რგოლი, რომელიც, უშუალოდ, პრემიერის დასაყრდენია. ლაპარაკია თქვენზე, ეკა ბესელიაზე, გაივოლსკიზე, მანანა კობახიძეზე... მართლა ასეა?

— რატომ არ უნდა იყოს? ბატონი ირაკლი და ბატონი ბიძინა ახლა არ გამიცნია. ორივეზე ჩამოყალიბებული აზრი მაქვს, ბუნებრივია, ვენდობი და მათთან ერთად მოვიზარები. საერთოდ, განზე ვადგომა ვითარების მიხედვით არ ვიცი, რა!

— ეკა ბესელიას მსგავსად, თქვენც თვლით, რომ ერი ივანიშვილთან ვალშია და ამ ვალის გადასახდელად საუკუნეებია საჭირო?

— ბიძინას რამე იმიტომ არ გაუკეთებია, მის მიმართ ვინმე ვალში იყოს. ყველაფერს უანგაროდ აკეთებდა და პოლიტიკაში ისეთ დროს შემოვიდა, როცა ყველაფერი გაჩანაგებული იყო. ამ კაცმა მოახერხა, სხვადასხვა თვისების ხალხი შეეკრიბა, წინ გასძლიოდა და იმ რეჟიმის დამარცხება, დამარცხება კი არა, იმ რეჟიმზე გამარჯვება მოხდა, რომელიც, ვანო, არც თქვენ მოგწონდათ, მე კი პირდაპირ შემსკდარი ვიყავი.

— გარდა ამისა, კიდევ რამდენი სიკეთე გაუკეთებია, მაგრამ ბიძინა არაფერს ითხოვს. თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მადლიერი იყოს თუ არა.

— ...ნუკრი ბატონო, არ გინდათ, პარტიაში მიმილოთ?

— პარტიაში მოსვლა გინდათ? ვაიკითხავ, არ მგონია, პარტიაში მიღება პრობლემა იყოს.

— რიგითი წევრობა არ მინდა!

— თანამდებობაზე გინდათ? სამწუხაროდ, ამას არ ვწყვეტ — პოლიტსაბჭოს წევრი არ ვარ, მაგრამ ახლა რომ შევიკრიბებოდა და თუ ყველაფერს ნამდვილად ამბობთ, ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებ, თუმცა ვერ „ჩაგინებოთ“.

— ისე ამბობთ, თითქოს „ჩანსობები“ არ „მოდის“. ძალიან რომ გთხოვოთ, არ „ჩაინწყობთ“?

— „ჩანსობით“ არა, მაგრამ რეკომენდაციას ღიად გაგინეტ, მოდით, ბატონო ვანო, ჩვენს რიგებში ჩადგეს, გამოცდილი, გამობრძმედილი ჟურნალისტიკა-მეთქი. ერთად რამდენი რამე გვაქვს გავლილი...

— ხომ იცით, ვინმეს ჭკუაზე არ ვივლი!

— თქვენი ჭკუა, ამ შემთხვევაში, ქვეყნის მიმართ იქნება მიმართული, ჩვენიც აქეთკენაა, მაგრამ, თუ ისევ ნადირაშვილის ლექსიკაზე გადახვედით, თქვენ თავს თქვენვე დაუშავებთ!

— კარგი, რა, ბატონო ნუკრი, ლექსიკა ისეთი უნდა, თქვენ რომ გაქვთ — პირდაპირ თქვით, ხალხი ტელევიზიებში შევარდნას ვააიძულებსო...

— ასე არ მითქვამს. ხედავთ, უკვე როგორ არასწორადაა?

— აბა, როგორ თქვით?

— ვთქვი: ახლა მედიასივრცე აბსოლუტურად თავისუფალია, ეს თავისუფლება მედიის მხრიდან გამოსაყენებელია და არ შეიძლება, ყველა ნიუსი უარყოფითი იყოს. ქვეყანაში რაც ხდება — კარგიც და ცუდიც, რაღაც ბალანსით გამოიტანეთ, თორემ მოსახლეობას, ტელევიზიების მიმართ იქნება თუ სხვისი, მკაცრი ხელის მოთხოვნა გაუჩნდება და გალიზიანებულმა ხალხმა შეიძლება, პროტესტი გამოხატოს-მეთქი. აი, ეს ვთქვი და არაა — ის, შევარდნიან-მეთქი. ყველაფერს გაგება კარგად უნდა.

— ამ შემთხვევაში, სიტყვა „შევარდნა“ თქვენი მონათხრობის სინონიმია...

— ეს მაშინ ვნახოთ, როცა სულის ამოხდამდე 10 წუთი დამრჩება. ისე, საკუთარ თავთან პრეტენზიები სულ მაქვს და მისატყვევებლად ჯერ არ მცალია.

— ყველაზე დიდ შედეგად რას თვლით?

— ასეთივე ყოფილა...

— მაინც? უკანონო შვილი გყავთ?

— არა, რას ამბობთ?! ზოგჯერ ზედმეტად გავწვრივულ-ბულვარ...

— ეკას ან ჯოკიას იცნობთ?

— ვის?

— ეკას...

— აბა, ეკა?

— ყუშიტაშვილი...

— (გულიანად იცინის) არა... სპექტაკლებში, მსახიობებთან ერთად, ასეთი ტიპაჟები „გამიკეთებია“...

— თქვენი ხელფას-პრემიაზე ნაკურთხია?

— (ისევ გულიანად იცინის) ოოოო, კახელებს გამოკვეთილი იუმორი აქვთ, მაგრამ არის საკითხები, სადაც იუმორი არ ჭრის და „შავდება“.

— დღეს რომ ოპოზიციაში იყოთ, რას გააპროტესტებდით?

— ოპოზიციაში არ ვარ.

— ეგ ვიცი, მაგრამ რეჟისორი ხართ, შესაბამისად, უშრეტო ფანტაზია გაქვთ და წარმოიდგინეთ...

— ოპოზიციაში რომ ვიყო, ერთადერთი, რასაც გავაპროტესტებდი, ტემპია. ჩასაფრებულ მდგომარეობაში, ალბათ,

თქვენც ხომ ასე მიგაჩნიათ?

— დიას, თან ვადამდეელი რომ ჩატარდეს, შეიძლება, პარლამენტში ველარ მოხვედეთ... მოკლედ, ვადა რომ ამოგვერებათ, თქვენი დეპუტატობის ყველაზე კარგ და ცუდ საქმეებად რას ჩათვლით?

— ეს წელიწადნახევრის შემდეგ შეეფასოთ, თუმცა ნებისმიერ ამომრჩეველს მაქსიმალური პასუხისმგებლობით ვუდგები. ბევრსაც მივეხმარე...

— ჩემი რაიონის დეპუტატი ხართ, მაგრამ რა ვიცი, ჩემს კორპუსამდე ვერ მოხვდით...

— მოვალთ, მოვალთ...

— ვიდრე მოხვალთ, დანგრევა!

— ადრეც გითხარით, განცხადება შემოიტანეთ-მეთქი, მაგრამ ალბათ, განგებ არ შემოიტანეთ, მერე რომ დაწეროთ, აი, დაინგრაო.

— კარგი, რა, ნუკრი ბატონო, ასეთ ინტრიგანად მიცნობთ?!

— არა... პარლამენტში ბევრი კანონპროექტი შემოვიდა, რომელშიც წვლილი მეც მიმიძღვის, მაგალითად, უნივერსიტეტებს მივეცი საშუალება, იმ პროფესორ-მასწავლებლების დახმარების უფლება ჰქონდეთ, რომლებიც აღარ ასწავლიან. ახლა ენის კანონიც შემოვა...

— ელდარ შენგელიას პრობლემა რომ აქვს და კინოცენტრი სენარს არ უფინანსებს, ეს თქვენ არ გეხება?

— არ მეხება, ან კინოცენტრს როგორ დავაძალო, თან-ხა მიეცი-მეთქი, თუმცა ელდარს, მერაბ კოკოჩაშვილსა და სხვებს, რომელთა ფილმებზეც ვაგიზარდეთ, არ შეიძლება, ასეთი პრობლემები ჰქონდეთ და ძირითადად, ბიზნესმენებს მივმართავ, განა, არ უნდა მოგიხდეს, ელდარ შენგელიას, რომელსაც ფილმის გადაღება უნდა, დაეხმარო? მგონია, რომ ბიზნესმენები ასეთი ხალხის მიმართ მგრძობიარეები უნდა გახდნენ. კულტურის კანონზე ვმუშაობთ და ჯერჯერობით, ვერ მოვახერხებთ, მეცენატობა როგორ ჩავერთოთ.

— მეცენატობა და ქველმოქმედება არ უნდა დაბეგროთ!

— ვიცი, მაგრამ რაღაც ხვეწელობა...

— ...ბატონო ნუკრი, ოცნებები სრულდება?

— ყველაზე კარგი ოცნებისკენ მიმავალი გზაა. როგორც კი ოცნება სრულდება, მერე ახალი ოცნება იწყება.

— მოდით, ამას არ დავწერ, თორემ ხალხმა შეიძლება, სხვანაირად გაიგოს და ყველაფერი პოლიტიკურ „ოცნებას“ დაუკავშიროს...

— თუ ოცნებობ, მთვარეზე გაფრინდეთ, ეს ოცნება არ ახდება.

— რას ლაპარაკობთ?! — ხალხი საცხოვრებლად უკვე მარსზე გადადის...

— ამას ფული უნდა.

— ვთხოვთ ივანიშვილს და დავაფინანსებს!

— მთვარეზე რა გვინდა, კაცო, აქ, ჩვენს მიწას მივხედოთ! ასე რომ, მიზნები არის და ახალ-ახალი ოცნებები იწყება, რადგან ადამიანი, თავისი მოთხოვნებით, უსაზღვრო არსებაა!

— როცა გაკრიტიკებენ, ბრაზდებით?

— ადრე — კი... მაინც ქუჩიდან მოსული ვარ — 9 წელი „ქართული აკადემია“ სულ ქუჩასა და მიტინგებზე ვიყავით, ამიტომ, პირველ ხანებში ჩემს თავს ვატყობდი, რომ დახურულ სივრცეში წავამიტინგებდი ხოლმე, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს შეუფერებელი იყო. ახლა კი ვცდილობ, დახურულ ანუ პარლამენტის რეჟიმს შევეჩვიო. ამდენად, თმენის იმუნიტეტიც მეტ-ნაკლებად გამოვიმუშავე — ვერ შეატყვევთ, რომ ჩემი გაბრაზება გინდოდათ, მაგრამ არ გამოვიციდათ!

— ერთი-ორჯერ მაინც ალელდით!

— ემოციური ვარ...

— დავიჯერო, არ გაიფიქრეთ, რა მრჯიდა, ამ პავლიაშვილს ინტერვიუზე რომ დავთანხმდით?

— არა, არა... თქვენთან შეხვედრა ყოველთვის გამიხარდება. თქვენს ნაწერებს ყოველთვის ინტერესით ვკითხულობ — რაღაც ისეთი სტილი გაქვთ, რომელიც სხვას არ ჰგავს. თავის დროზე, ეს სტილი ახალი იყო, მაგრამ მერე ბევრმა მოგაძადა... — დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ისე, თქვენი სპექტაკლები მეც მომწონდა და „ალალეს“ ახლაც სიამოვნებით ვნახავდი!

— ვანო, ერთ რამეზე შევთანხმდეთ და ნუ ამბობთ, რომ პარლამენტი აუცილებლად იურისტების საკრებულო უნდა იყოს. პარლამენტში ხალხის წარმომადგენელთა ხმა უნდა ისმოდეს. ხალხი სხვადასხვანაირია და იქ სახელოვნებო, ტექნიკური, ფერმერების სფეროს წარმომადგენლები უნდა იყვნენ. მთავარია, პარლამენტში მოქალაქე იყოს და თუ ჩემს მოქალაქეობასთან კითხვები გაქვთ, მითხარით!

— რაც მაინტერესებდა, გკითხეთ, მაგრამ ერთი პირობა უნდა მომცეთ!

— რა პირობა?

— რა პირობა და, პარლამენტის პირველსავე სხდომაზე, როგორც ჩემი რაიონს მაჟორიტარი, გამოხვალთ და ჩემს ავარიულ კორპუსს ახსენებთ! გამიხარდება!

— სახლის ნომერი მითხარით...

— 90...

— ვანო, როგორ ბრძანდებით?! — ასე მოგმართოთ?

— მე კი არ მომმართოთ, ჩემი კორპუსის პრობლემა დიდი ტრიბუნიდან გააჟღერეთ!

— აუცილებლად...


— ბატონო ნუკრი, მაგიდაზე 2014 წლის კალენდარი რატომ გიღვეთ?

— (მაჩვენებს) აი, 2015 წლის კალენდარიც მაქვს.

— ჰოდა, ძველი გადაადგეთ, თორემ კიდევ ერთი ჩემნაირი გადაღებული შეგვხვდება და იტყვის, ქანთარიასთან დრო გაჩერდაო...

— კარგი, გადავადგებ!

— აბა, ნახვამდის და წარმატებებს გისურვებთ!



— ჩვენ იმ მისიით არ მოვსულვართ, ტოტალიტარული რეჟიმი დავამყაროთ, მაგრამ დემოკრატია ძალიან რთული და განვითარებადი პროცესია. მოკლედ, თუ ეს თავისუფალი სივრცე ვერ შევირგეთ, მაშინ ამის ალტერნატივა მხოლოდ ტოტალიტარიზმი და რადიკალიზმია, რაც ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანისთვისაც საშიშრელება იქნება. ამიტომ, ხელი ყველამ უნდა შევუწყოთ, რომ ეს თავისუფალი სივრცე ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ვანო, ამაში არ მეთანხმებით?

— ნაწილობრივ...

— დააკვირდით, უკრაინაში რა ხელწერაა: ცნობილ უკრაინულ ქირურგს ტელეკამერებით შუუცვივდნენ და გამოაგდეს. ტელეკამერებით ადამიანების დაჭერის ხელწერა არ გეცნობათ?

— პარალელების გავლება შეიძლება... მარტივ შეკითხვას გისვამთ და მარტივი პასუხი მინდა: ჟურნალისტიკას ბიზნესად თვლით?

— რა თქმა უნდა, ბიზნესია, მაგრამ ეს მხოლოდ გაყიდვით იყიდება, აქ ხომ შემეცნებასა და ინფორმაციის მიწოდებაზე ლაპარაკი.

— სხვათა შორის, GDS მშვენიერ შემეცნებით გადაცემებს ამზადებს და სულაც არ მომწონს, მალე პოლიტიკურ არხად რომ უნდა გადაკეთდეს, თუმცა ეს არხის მფლობელთა გადაწყვეტილებაა... რაც შეეხება უკრაინას, წელიწადზე მეტია, ზურაბ ადგიშვილსა და მიხეილ სააკაშვილზე საქმეა აღძრული, მაგრამ ქართულმა მხარემ ინტერპოლს ძებნის გამოცხადებაზე ახლა მიმართა. რატომ?

— სხვათა შორის, თუ გახსოვთ, თავის დროზე პარლამენტის სხდომაზე გამოვედი და „რუსთავი 2“-ს მადლობა გადავუხადე, მიმა იპოვა-მეთქი.

— ვაუ, რა სუფთა სასათაურე ფრაზა თქვით: ნუკრი ქართლია „რუსთავი 2“-ს მადლობას უხდის!

— ეს განცხადება მაშინ გავაკეთე, როცა „რუსთავი 2“-მა ძებნილი სააკაშვილი პირველი ვრცელი ინტერვიუთი გამოიყვანა.

— რაც შეეხება ინტერპოლისთვის მიმართვას, ეს კითხვა მეც მაქვს: ინტერპოლს რატომ ადრე არ მიმართეს? ამის მიზეზი რაღაც პოლიტიკური მდგომარეობა იყო? — შეიძლება, მაგრამ ასეთ დროს თავის შეკავება არ შეიძლება, რაღაცებს ნახევრად ნუ აკეთებ და ბოლომდე მიყვები.

— ...საკუთარ თავს რას მიუტყვებთ?

არ ვიქნებოდი, მაგრამ ხელისუფლება პრობლემებთან უნდა მივიდეთ. აი, ამაში გვჭირდება ადაპტაცია — პრობლემა მანამ უნდა გადავჭრაო, ვიდრე გადიდდება.

— ბატონო ნუკრი, იზიარებთ მოსაზრებას, რომ ჩინოვნიკთა ნაწილი კორუფციაში არაა ჩართული, მაგრამ არაფერს აკეთებს და პასუხისმგებლობა გვერდზე გადადო ანუ ეშინია, ნაციონალებმა არ „დაარტყან“?

— თუ ვინმეს ეშინია, ძალიან ცუდია! როცა „ოცნება“ შეიქმნა, არაა გამორიცხული, იქ ყველა იდეთა და ქვეყანაზე შეყვარებული კი არ შევიდა, ანგარეიანი ხალხიც მოხვდა. ამა-საც თავისებური უნარი უნდა, ყველგან აღმოჩნდე. ეს ჩემთვის კატეგორიულია მიუღებელია და ყველა შესაბამის ორგანოს ვთხოვ, ადგილობრივი თვითმმართველობები შემომხედეს და გაირკვეს, გზები თუ სკვერები ვინ რა ფასად გააკეთა.

რაღაც ლაპარაკია, კორუფციაა... ამ ლაპარაკს საფუძველი უნდა გამოეცალოს და თუ გაირკვა, რომ ერთი და იგივე, მაგალითად, სახურავი ერთ რაიონში ათი ლარი დაჯდა, მეორეში კი — 25, სერიოზული კითხვა უნდა გაჩნდეს, რატომ, როგორ და ამ კითხვაზე პასუხი უნდა მივიღოთ. ნაცმობრობა და ვილაცები ყველაფერს ვავარაუდებ, რაც უკვე მასხარაობაა, მაგრამ ვილაცები დააკავებს და თუ ასეთი სიმპტომები არსებობს, ახლავ უნდა მოიკვეთოს. მე და ჩემს ბევრ თანამოაზრეს ენერგია იმიტომ არ დაგვიხარჯავს, ვილაცებმა თავიანთი ჯიბისა და მდგომარეობის გასქელებაზე იზრუნონ! ამიტომ, სასწრაფოდ ვითხოვ, ყველაფერს პასუხი უახლოეს პერიოდში გავცეს და, თუ ვინმეს თავში კორუფციის ნასახი მართლა აქვს, მისი განეიტრალება იქვე მოხდეს!

— წელიწადნახევარში დეპუტატობას ამოწურავთ... ვადამდელები არაფერს მეკითხებით?

— იქნება?

— არ მგონია...

— ვიცე-პრემიერი კახი კალაძე არ გამოირიცხავს...

— თუ ასეთი აუცილებლობა გაჩნდა, დრო ხელოვნურად არ უნდა გავწვლით, თუმცა უმჯობესია, ციკლი დამთავრდეს და

„გზის ტენდერებიდან უამრავი თანხა „ტყდება“ ... სავალუტო ფონდის მისიის ხელშეწყობის ნასიონალური მოსყიდულია!“



„ვერსიის“ და ნოდარ ჯავახიშვილის ექსპერიმენტი და დარღვევები თბილისი-რუსთავის ავტობანზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„გზებთან დაკავშირებით ბევრ ზოგად ფაქტს მეუბნებიან, სადაც ფული გადახდილია და ასფალტი დაგებული არაა, მაგრამ ამას თუ მეუბნები, ისიც მითხარი, კონკრეტულად რომელ გზაზეა საუბარი. ნუ მეტყვი, ვინ ხარ, ოღონდ, გზის კონკრეტული მონაკვეთი დამისახელე, წავალ და ვნახავ! ზოგადი საუბრები არაფერს მამლევს, გულით მინდა ამ პრობლემის მოგვარება და არა — ვილაცი სამსახურიდან გაგდება და დაქვრია!“, — განუცხადა „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ ჯავახიშვილმა. ცხადია, კონკრეტული ფაქტი მაშინვე ვუთხარი — სერიოზული დარღვევა თბილისი-რუსთავის ავტობანის რეკონსტრუქციის მონაკვეთში. მინისტრის მოადგილემ შემომთავაზა, შაბათს, 28 თებერვალს, ერთად წავსულიყავით გზის ამ მონაკვეთზე და ყველაფერი საკუთარი თვალით გვენახა, ამიტომაც, ინტერვიუში ზემოხსენებული კითხვა-პასუხი, როგორც იცხვიან, აღარ გავიდა.

ბის პროექტი აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსდება და საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-ნოთელი ხიდის“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას ითვალისწინებს. ახალი ავტობანის სიგრძე 17.4 კმ-ია. პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია 2 გზაგამტარის, 2 სატრანსპორტო კვანძის, 8 ხიდის, 2 მინისკვება გადასასვლელისა და 4 საფეხმავლო ხიდის მშენებლობა.

...ფონიჭალას ვუახლოვდებით. კარგი ამინდია — მზე არაა, მაგრამ თბილა. მოახლოებული ვაზაფხულის სურნელი იგრძნობა, თუმცა წინ მაინც „გიჟი“ მარტია. ნოდარ ჯავახიშვილი მეუბნება, რომ ასეთი ამინდი უყვარს, შაბათობით კი საკუთარ ნაკვეთში მუშაობა ყველაფერს ურჩევს. დღესაც, ვიდრე რუსთავში წავიდოდით, თურმე, ბარაფა — ხახვისა და ნივრის დათესვას აპირებს. არაფერი მითქვამს. ნამიერად ყველა იმ სტატიამ გამოიღვა, რომელიც ეგვიპტისა და თურქეთიდან იმპორტირებულ ხახვზე, ნიორსა თუ სხვა პროდუქტებზე დამინერია. მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ: ჩვენ, ქართველები, კოსმოსში ვერ გავფრინდებით; ქუთაისში ავტოქარხანა კი გვექონდა, რომელიც ღრმა ბავშვობიდან ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ ავტომობილებსაც ვერ გამოვუშვებთ, რადგან აშშ-ს, იაპონიასა და გერმანიას ვერ ვაჯობებთ. სამაგიეროდ, ხახვისა და ნივრის დათესვა, ფრინველისა და მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის მოვლა მაინც შეგვიძლია!

პარასკევს, 27 თებერვალს, ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ უყურადღებობას არასდროს უჩიოდა. დანანებით ვუთხარი, ერთი სული მქონდა, იმ ინტერვიუში ლარის კურსსა და ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის გზებზე გვესაუბრა, მაგრამ თავს იმით ვიშვებდები, რომ ჩაშლილი ტენდერების თემა არანაკლებ მწვავე და აქტუალურია-მეთქი.

— პარასკევს, მერაბ მეტრეველის გადაცემა არ გინახავს? — მეკითხება.

— სამწუხაროდ, არ მინახავს, ბატონო ნოდარ, ერთდროულად „მანეტროსა“ და „რუსთავი 2“-ს ვუყურებდი და მერე, „იმედს“ შემოვრჩი. გპირდებით, აუცილებლად ვნახავ.

— მერაბთან ვიყავი, ლარის კურსზე, ეროვნულ ბანკსა და კრიზისზე ვისაუბრე.

...ამასობაში მცირე საცობშიც აღმოვჩნდი. სიჩუმე, რომელიც სულ ხუთიოდე წუთს გაგრძელდა (გავგიმართლა, რომ საცობს თავი დავაღწიეთ), ჩემი უსაყვარლესი და ლეგენდარული ბარი ვაითის მუსიკამ დაარღვია. სხვათა შორის, რეპორტაჟსაც ბარი ვაითის მუსიკის ფონზე ვწერ და გირჩევთ, თქვენც ამ ფონზე წაიკითხოთ: LET THE MUSIC PLAY...

— ბატონო ნოდარ, ამისხენით, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ლარის კურსის გაუფასურებაში ეროვნული ბანკი და გიორგი ქადაგიძე ამხილა, მეორე დღესვე კურსი როგორ დასტაბილურდა? — ვინტერესდება.

— იცი, ეგ რატომ მოხდა? — ბიძინას განცხადების შემდეგ, პანიკა ჩაცხრა, ხალხი დამშვიდდა და კურსმა გამყარება დაიწყო.

— არ მინდა, მჯეროდეს, რომ ჩვენს ქვეყანას კულტურებიდან... არადა, ასე გამოვიდა...

— აბა, რას ამბობ? შუშის სასახლიდან მართვა რა შუაშია? ბიძინამ ის თქვა, რაც რეალობა!

— რა არის რეალობა? ლარის კურსის გაუფასურება ეროვნული ბანკის ბრალია? თქვენც გჯერათ, რომ გიორგი ქადაგიძეს საბოტაჟის მონაცემები შეეძლო?

— ლარის კურსის გაუფასურება ნოემბრიდან დაიწყო და იცი, რა გააკეთა ქადაგიძემ მაგ დროს? — მიმოქცევაში ისედაც ჭარბი რაოდენობის ლარი იყო, ადგა და კომერციული ბანკების დაკრედიტება 350 000 000-დან, 700 000 000 დოლარამდე გაზარდა! იმის ნაცვლად, რომ ფულის გაძვირება დაეწყო, რათა ფულზე წვედომა ადვილი არ ყოფილიყო და ლარი გაემყარებინა, მან პირიქით გააკეთა — მიმოქცევაში ფულის მასა გააორმაგა!

— ჰო, მაგრამ, ბატონო ნოდარ, რეგიონში რთული ვითარებაა, ექსპორტი, სავალუტო გადმორიცხვები, ტურისტების რაოდენობა და ინვესტიციები შემცირდა. ასეთ დროს ქადაგიძეს რა ბერკეტები ჰქონდა, გარდა იმისა, რაც ვააკეთებ? ინტერვენციებსა და რეფინანსირების სესხის გააკეთების ზრდას ვეულისხმობ.

— ლარის დეველვაცია ნოემბრის დასაწყისში დაიწყო, ქადაგიძემ კი პირველი ინტერვენცია თვის ბოლოს განახორციელა — 40 მილიონი დოლარი გაყიდა, კიდევ 40 მილიონი დეკემბერში გამოიტანა და მიუხედავად იმისა, რომ იანვარში ლარი გაუფასურებას განაგრძობდა, მესამედ 40 მილიონი დოლარი თებერვლის დასაწყისში გაყიდა. ამას უწოდებ სწორ ნაბიჯს? სადეპოზიტო სერტიფიკატებში მილიარდ 140 მილიონზე იყო მოთხოვნა, ქადაგიძემ კი მხოლოდ 400 მილიონი დოლარი ანუ 40% დააკმაყოფილა, რატომ? ხომ ხედავ, რომ ლარის სიჭარბე და ისედაც საშიშროება იქმნება, წლის ბოლოს, კომერციულ ბანკებს დამატებით აკრედიტებ, თან რეფინანსირების განაკვეთსაც უზრდის? ეს საბოტაჟია, აბა, რა ფანდაბაა!

— ეროვნული ბანკისა და მისი პრეზიდენტის ლანძვალს, იმის გარდა, რომ ინვესტიციები შემცირდება, რას მოგვიტანს? ისედაც ინვესტიციების სიმცირეზე ვწუნუნებთ.

— მაშინ დახუჭეთ ყველაფერი თვალი და გააგრძელეთ ქადაგიძის დაცვა! როგორ არ გესმის: თუ ასე გაგრძელდა და კურსი არ დავიჭირეთ, აპრილში მართლა ყველაფერი გაძვირდება. ხალხში სერიოზული პანიკა შეიქმნება და მერე ნურც შენ დაიწყებ წუნუნს, ასეთ დღეში როგორ ჩავცვივდით! გამოჩნდა, რომ ქადაგიძე ზურაბ ადგიშვილის დავალებით მოქმედებდა. ჯერ მარტოს ის რად ღირს, რაც ეროვნულმა ბანკმა „ქართუში“ ჩაიდინა, როდესაც ბანკი გააკოტრა.

— ბატონო ნოდარ, პირველი საქმე, რომელიც მს მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა გახსნა, სწორედ „ქართუს“ გაკოტრების საქმეა იყო.

— რას ამბობ, რას? რას ქვია, გახსნა? მაჩვენე, აბა, ეს გახსნილი საქმე!

— მე რატომ მეჩხუბებით? მინაგან საქმეთა სამინისტროში მაგ ბრიფინგზეც ვიყავი და „ვერსიაში“ „ქართუს“ გაკოტრების საქმე ვრცლად გავაშუქე. ქადაგიძეს ჩემი დაცვა არ სჭირდება, მაგრამ თუ დამნაშავე იყო, პროკურატურამ რატომ არ დაკითხა?

— გიმეორებ, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმე არ გახსნილა! ერთი თეთრიც კი არ დაუბრუნებიათ. ბიძინა არ უნდოდა ამ საქმის გახსნა, ამბობდა, ჩემი ბანკიაო. წინააღმდეგობას ვუწევდი, ვეუბნებოდა, რას ნიშნავს, შენი ბანკია? თუ კანონი ირღვევა, შენი და ჩემი რა შუაშია, პასუხი ყველამ უნდა აგოს-მეთქი!

— ამ დღეებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი უარყოფითად შეაფასებს ქადაგიძის ლანძვალს.

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი ნაციონალების მოსყიდულია!

ამასობაში, რუსთავი-თბილისის ავტობანსაც მივუახლოვდით. მიუხედავად იმისა, რომ შაბათი იყო, სპეცტექნიკა ადგილზე დაგვიხვდა და მუშებიც თავდაუზოგავად პრომოტინგს. ბატონმა ნოდარმა სვლა შეანელა და ობიექტის დათვალიერება დაიწყო.

აღმართზე, გზის საფარიდან ჯებირამდე, ბევრი ისეთი მონაკვეთი შეგვხვდა, სადაც სპეციალური ნიშანი არ იყო, რომელიც ღამე ანათებს, რათა მძღოლმა დაინახოს და სვლა შეანელოს.

— აუცილებლად მოვიკითხავ, რატომ არ არის ეს ნიშნები ყველგან. გეთანხმები, ამის გამო მართლაც შეიძლება, ავტომობილი გზიდან გადავარდეს.

— ბატონო ნოდარ, შეიძლება, ჩინური კომპანია იმის გამო დაეჯარიმებინათ, რომ გზის ეს მონაკვეთი გასაკეთებელია?

— შეიძლება, რატომაც არა. ამასაც აუცილებლად მოვიკითხავ და სამშაბათს ყველაფერს გაგირკვევ. ამ ავტობანზე ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული. კარგია, რომ დღესაც შრომობენ, მაგრამ გზის ხარისხი არ მომწონს — ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს.

— რატომ არ მოგწონს, ბატონო ნოდარ?

— აი, ხომ ხედავ, ასფალტი სწორი არ არის და მოძრაობა მანქანასაც უჭირს. ამასაც გავარკვევ და გავიგებ, რა ხდება. იც, გზის ტენდერებიდან უამრავი თანხა „ტყდება“, შესაძლოა, აქაც ასეთი შემთხვევაა, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება... აღარ მახსოვს, DON'T FORGET, REMEMBER-ს მოვუსმინეთ თუ არა, მაგრამ „ვერსიისა“ და ნოდარ ჯავახიშვილის ეს უცნაური ექსპერიმენტი არასოდეს დამავიწყდება...

პერსონალი

მსს-ს მრბოლელთა საავტომობილო კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ

საქართველოს საავტომობილო ფედერაციისა და Auto Bild საქართველოს ორგანიზებით, წლის შემაჯამებელი საავტომობილო ღონისძიება „ოქროს საჭე 2014“ გაიმართა. ღონისძიებაზე ავტოსპორტში საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულთა დაჯილდოება და 2014 წლის საუკეთესო ავტომობილების გამოვლენა მოხდა.

წლის ყველაზე მნიშვნელოვან საავტომობილო მოვლენაზე კონკურსანტთა შორის იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპორტული გუნდი MIA Force და საპატრულო პოლიციის სახელით მოასპარეზე გუნდი BFT Racing. ორივე გუნდი მთელი წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა საქართველოს ჩემპიონატის ყველა ეტაპზე. დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი ჭანტურია. მათ გამარჯვებულებს მიულოცეს და წარმატება უსურვეს.

MIA Force-მა „ოქროს საჭე 2014“-ზე სულ ოთხი ჯილდო მოიპოვა. გუნდმა „ლეგენდის“ კლასის ავტომობილებით რბოლაში გუნდური მესამე ადგილი, ხოლო Formula Alfa-ს კლასში მეორე ადგილი დაიკავა. MIA Force-ის მრბოლელი დათა ქაჯაია კი საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებისთვის საავტომობილო ფედერაციისგან სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა. მან კიდევ ერთი ჯილდო — „ლეგენდის“ კლასში ინდივიდუალურ ჩათვლაში მე-2 ადგილი მოიპოვა.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციის სახელით მოასპარეზე გუნდს BFT Racing-ს, საქართველოს ჩემპიონატში წრიულ რბოლაში „ლეგენდის“ კლასის ავტომობილებით რბოლაში გუნდური პირველი ადგილი აიღო.



„ვერსიანიუსი“

ბორის ნემცოვი ეფესბა-მ მოკლა?

„წყევდიმც იყავით, სისხდისმსმელებო!“ — პუტინური მკვდელობების 20-წლიანი ანაწომის და კრემლის საიდუმლო დოკუმენტი, სადაც ნემცოვი 1030-ჯერაა ნახსენები

ბიორბი ბიორბაძე

მოსკოვი კიდევ ერთი ცოდვით დამძიმდა — ორტ-ს პირველი გენერალური დირექტორის, ვლად ლისტევის მკვლელობიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, 27 თებერვალს, საღამოს, კრემლთან ახლოს, რუსული ოპოზიციის ლიდერს, ბორის ნემცოვს კლავენ. მკვლელობის დროს უკვე ცნობილი იყო, რომ ნემცოვი, რომელიც უკრაინაში რუსულ აგრესიას აპროტესტებდა და, ამასთან, საქართველოს მიმართაც არაპუტინური დამოკიდებულება ჰქონდა, 1 მარტს საგაფრთხილო მარშში აპირებდა მონაწილეობას. ეს აქცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ გახლდათ მიმართული, თუმცა საპროტესტო მარშის ნაცვლად, რუსეთში ნემცოვის სამოქალაქო პანაშვილები იმართება.

ვინ მოკლა ნემცოვი? — ამ კითხვაზე ორი პასუხი არსებობს: გავრცელებული ცნობით, მოსკოვი მკვლელობის სამ ვერსიაზე მუშაობს — რუსული ოპოზიციის ლიდერი, უკრაინელმა ოლიგარქებმა მოიშორეს, რადგან რუსულ საზოგადოებაში განხეთქილების შესატანად ფული გადაუხადეს, მაგრამ ნემცოვმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა. მეორე ვერსიით, ნემცოვის მკვლელობის მიზანი ხელი-სუფლებზე დარტყმის მიყენება იყო ანუ პუტინის საშინაო და საგარეო ოპონენტები ვარაუდობდნენ, რომ ნემცოვის მკვლელობა რუსეთში დესტაბილიზაციის გამოიწვევს. მესამე ვერსიის მიხედვით კი, მკვლელობის მიზეზი შესაძლოა, ექვიანობა გახდეს.

ჩვენთვის რომ ვთქვათ, მესამე ვერსია პირველის გაგრძელებაა და აი, რატომ: ცნობილია, რომ მკვლელობის დროს, ბორისის გვერდით 23 წლის უკრაინელი მოდელი ანა დურიტსკაია იმყოფებოდა, რომელსაც პოლიტიკოსთან, თურმე, ახლო ურთიერთობა ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუ მკვლელობა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს, გამოდის, საქმეში უკრაინელი დიაცი მიზანმიმართულად გაჩნდა, ესე იგი, თავიდანვე იყო გათვლილი, ტრაგედიის კვალი კიევამდე მისულიყო, თან მსგავსი „მაქინაციები“ სპეცსამსახურებისთვის დამახასიათებელია. რაც შეეხება უკრაინელ მოდელს, ის ამბობს, რომ ნემცოვს, მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, სავაჭრო ცენტრ „გუმში“ შეხვდა და ბალოტის მოედნისკენ, სავაჭროდ წავიდნენ. ნიშანდობლივია, რომ ეს ტერიტორია კრემლის სიახლოვესაა. მოდელის თქმით, ამასობაში, ხიდაზე უცნობი ავტომობილი გამოჩნდა, საიდანაც ნემცოვს ესროლეს.

პოლიციის ცნობით, მკვლელობა კარგად იყო დაგეგმილი. ისინი, ვინც პუტინის მზეს ფიცულობენ, ამბობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტს ოპოზიციონერის მკვლელობა არაფერში აწყობდა და თუ მაინცდამაინც აურევებს უშლიდა, შეეძლო, თავიდან სხვანაირად მოეშორებინა, მაგალითად, დაეჭირა. ამ მსჯელობაში ლოგიკა, ცხადია, არის, მაგრამ თავად რუსებიც კი არ უარყოფენ, რომ რუსეთში დიქტატურაა, პოლიტიკური მკვლელობები კი, როგორც წესი, დიქტატურისთვისაა დამახასიათებელი. ამ აზრს წარსულში ცნობილი მოჭადრაკე, ახლა კი პუტინის ოპონენტი გაიო კასპაროვიც იზიარებს. პუტინს მკვლელობაში ირიბად ქართული წარმოშობის მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბორის აკუინიც ადანაშაულებს, რომელიც რამდენიმე წელია, მოსკოვიდან გაიქცა და ლონდონში ცხოვრობს.

„ყველაზე ცოცხალი და უშიშარი ადამიანი, ვინც კი შემხვედრია ცხოვრებაში... სხონა იყო. წყევლიმც იყავით, სისხლისმსმელებო“, — ასე გამოხატა აკუინის სოციალურ ქსელ Facebook-ში ბორის ნემცოვის მკვლელობას. ყოფილი პოლიტპატიმარი, ასევე, პუტინის შეურიგებელი ოპოზიციონერი მიხაილ ხადარკოვსკი კი ამბობს, რომ ნემცოვის მკვლელობა მისთვის და მისი ოჯახისთვის სიმწარეა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ხადარკოვსკი პუტინის პირად პატიმრად ითვლებოდა.

მომხდართან დაკავშირებით განცხადება ამჟამად პატიმრობაში მყოფმა ალექსეი ნავალნიმაც გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: „ახლანან, ბიჭებისგან, რომლებიც პაემანზე მოვიდნენ, გავიგე, რომ ნემცოვი მოკლეს. შოკში ვარ, სიტყვებს ვერ ვპოულობ. ბორისი ჩემს სანახავად რამდენიმე დღის წინ იყო. როგორც ყოველთვის, ენერგიული, სიცოცხლით სავსე, გეგმებით. ესუშრა პოლიციელებს, მხიარულად ესაუბრა მათ, უხსნიდა, თუ რატომ უნდა დაეჭირათ „გაზაფხულის მარშისთვის“ მხარი. ბროშურები აჩუქა. ვერც კი წარმოვიდგენ, რომ მას მეტად ვერ ვნახავ“. ნემცოვის მკვლელობასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებები მსოფლიო ლიდერებმაც გააკეთეს, მათ შორის, საქართველოს პრემიერმა და პრეზიდენტმაც.

„შეძრული ვარ იმ საზარელი ტრაგედიით, რომელიც მოსკოვის ცენტრში დატრიალდა — მოკლულია ერთ-ერთი თვალსაჩინო რუსი პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი. კატეგორიულად ვგმობ ამ საშინელ ძალადობას, იმედს ვიტოვებ, რომ ასეთი სასტიკი დანაშაულის ჩამდენები გამოაშკარავდებიან და პასუხს აგებენ კანონის წინაშე. ვიზიარებ მისი ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას და თანაუგრძობ რუს ხალხს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბორის ნემცოვის მკვლელობიდან რამდენიმე საათში, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელ Facebook-ში დაწერა, რომ ნემცოვს რამდენიმე დღის წინ, უკრაინაში შეხვდა და როცა სიტყვა უსაფრთხოებაზე ჩამოვარდა, ესუშრა, რომ დაჭერის კი არა, ღვინიანი ბოკალის უნდა შეშინებოდა(!).

მართალია, ბორის ნემცოვის მკვლელობა პუტინის რუსეთში არც პირველია და, სამწუხაროდ, ალბათ, არც უკანასკნელი, მაგრამ საქმეში ჩახედულები არ გამოირჩევიან, რომ ამ მკვლელობით პუტინის, როგორც ხელისუფალის დასასრულის დასაწყისი დაიწყო. ასევე, არსებობს კულუარული ვერსია, რომ დასავლური ყაიდის რუსული ოპოზიციონერის მოცილება პირდაპირ რუსულმა უშიშროებამ, კერძოდ, ეფესბე-მ დაგეგმა, რადგან „კანტორის ბოსებმა“ პუტინის თამაშიდან გაყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ ვოვა ჯოუტოვს და დაუნერეულ კანონებს არ ემორჩილებს.

ცოდვა გამხელილი სჯობსო და, პუტინი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, უცოდველია, მაგრამ მის სახელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაერთი ტრაგედია უკავშირდება — ლისტევისა თუ პოლიტკოვსკიას მკვლელობებიდან დაწყებული, ბესლანის ტრაგედიით დამთავრებული. შესაბამისად, ვერსიას, რომ ბორის ნემცოვის სამარადუამო გაჩუმება კრემლის ბოსს აწყობდა, არსებობის საფუძველი აქვს.

სხვათა შორის, პუტინმა ნემცოვის დედას პირობა მისცა, რომ მკვლელებს სურვილებად იპოვის, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება მკვლელობის ოფიციალურ ვერსიად უკრაინულ შეთქმულებას დაასახელებს? — ეს, ალბათ, იმის საფუძველი გახდება, რომ ოფიციალურმა კრემლმა „ნორმანდიული ოთხეულის“ შეთანხმება ფეხზე დაიკიდოს და უკრაინაში ომი ახალი ძალებით განახლდეს.

არც ისაა გამორიცხული, გამოძიება მკვლელებზე გავიდეს, შემკვეთის ვინაობა კი, სამუდამოდ უცნობი დარჩეს. ისე, უკრაინელმა მოდელმა, რომელიც პიპნოზის ქვეშ დაკითხეს,

მეხსენება

ხათუნა ლაბაზიძე: „ზუსტად უნდა დავინახოთ ჩვენი პრობლემა!“

ბიორბი იაშვილი

პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაბაზიძე ქართული საგარეო პოლიტიკური კურსისა და ეკონომიკური ვითარების შესახებ გვესაუბრება:

— ვიდრე მსოფლიო ჩამოყალიბდება, ვინ არის ნაგებული და ვინ მოგებული, ვგულისხმობ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებას, ვფიქრობ, ჩვენთვის ყველაზე უპრიანი, დროის მოგების პოლიტიკაა. მით უფრო, იმ ფონზე, როცა თავად დასავლეთია ჩამოყალიბებული — არ იცის, რა უქნას უკრაინის პრობლემას. თავად ბალტიისპირეთის ლიდერები დასავლეთის, იგივე ევროკავშირისა და ნატო-ს მხრიდან, აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევენ ბეზერო ვეროპის პოზიციებს. აქედან გამომდინარე, საქართველო დღეს, რუსეთის შესაძლო აგრესიის პირისპირ, ფაქტობრივად, მარტოა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ დღეს გაცილებით ფრთხილი პოლიტიკა გვაქვს, ვიდრე წინა ხელისუფლების პირობებში გვექონდა. აღარ შეგვირდება რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის დეტალებზე, მაგრამ მოლაპარაკებები, როგორც ჩანს, ჩვენს ზურგსუკან მიმდინარეობს და თან ძალიან უცნაურია. უცნაურობაში იმას ვგულისხმობ, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატში აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხის განხილვა, რასაც დღეს უკვე ადასტურებენ, რა შედეგამდეც უნდა მივიდეს, საქართველოს საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის ზურგსუკან ხდება. არის ძალიან არაჯანსაღი პროცესები და, პირდაპირ ვიტყვი, მოლაპარაკებები რუსეთთან. ჩნდება კითხვა: საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა პრაგმატულია და თავის დაზღვევა რუსეთის შემდგომი აგრესიისგან თუ ეს პრორუსული პოლიტიკაა, რომლის დაფარვასაც ხელისუფლება ვეღარ ახერხებს?

— თქვენი აზრით, ამ ორიდან რომელია? — ჯერ კიდევ გამიჭირდება საბოლოო პასუხის ჩამოყალიბება, თუმცა ვფიქრობ, უახლოესი თვეები ამას გამოაჩენს და კითხვის ნიშნები აღარ დარჩება.



მხოლოდ იმის გახსენება შეძლო, რომ მკვლელს შავები ეცვა. ამასთან, რუსული მედია აგრესიებს ინფორმაციას, რომ პოლიციამ ის ავტომანქანა იპოვა, რომლიდანაც სავარაუდოდ, ნემცოვს ესროლეს. რენტგენი იმ თეთრი ავტომანქანის ფოტოებიც გაავრცელა, რომელიც მკვლელობის ადგილთან ახლოს იპოვეს. თავიდანვე ითქვა, რომ პოლიცია თეთრი ფერის Ford Mondeo-ს, ან Ford-ის მარკის ავტომანქანას ეძებდა.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: გარდაცვალებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ერთ-ერთ ინტერვიუში, ბორის ნემცოვმა განაცხადა, მეშინია, პუტინმა არ მომკლასო. დღევანდელი გადასახედიდან, ნემცოვს ტყუილად არ ეშინოდა.

მკვლელობის მეორე დღეს, საერთაშორისო ჟურნალისტმა ხრისტო გროზევიცა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ნემცოვის სახლი ათასჯერაა ნახსენები კრემლის იმ მიმონერაში, რომლებიც ჰაკერების ხელთ მოხვდა:

„ნემცოვი კრემლისთვის ახირება იყო. 1030 წერილში, რომელიც სწორედ კრემლის ექსპონებთან გაიგზავნა... იმავე ექსპონებზე შევიდა, მისი სახელი იყო ნახსენები... კრემლისთვის მთავარი გზავნილი ნემცოვის მიერ ნათქვამი ფრაზა გახდა: „არ არის პუტინი — არის რუსეთი! არის პუტინი — არ არის რუსეთი!“.. პუტინის გრაფიკაში რუსულ ინტერნეტზე ნემცოვი „მწვავე ანტიპუტინიზმის“ განყოფილებაში იყო“, — აცხადებს გროზევი.

შეგახსენებთ: მოძრაობა „სოლიდარობის“ დამფუძნებელია და პარტია PIP-IPHAC-ის თანათავმჯდომარე, 55 წლის ბორის ნემცოვმა პოლიტიკური მოღვაწეობა 1991 წელს, ნიჟეგოროდის ოლქის გუბერნატორის თანამდებობით დაიწყო. ორი ვადის გასვლის შემდეგ, მუშაობა რუსეთის მთავრობაში განაგრძო — ნავთობისა და გაზის მინისტრის პოსტი დაიკავა. 1997 წელს, მთავრობის მეთაურის პირველი მოადგილე გახდა, გადადგომის შემდეგ, 1999-2003 წლებში დუმის დეპუტატი იყო. 2013 წელს კი, იაროსლავის ოლქის დეპუტატად აირჩიეს.

რუსული მედიის ცნობით, ბორის ნემცოვს სამშაბათს, 3 მარტს დაკრძალავენ...



— ლარის კურსის დეველაციათან დაკავშირებით, რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?

— ზუსტად უნდა დავინახოთ ჩვენი პრობლემა. ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ამოძრეს იმ ნაჭუჭიდან, სადაც ნებით ჩაძვრა და ამ პრობლემის გადაჭრას შეეცადოს. ხელისუფლებამ უნდა სთხოვოს ფინანსური დახმარება აშშ-ს, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს. ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აშშ-ს ოთხმილიარდიანმა გრანტმა იხსნა საქართველოს ფინანსური და ეკონომიკური სისტემა კრახისგან, დღესაც მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა აშშ-მ, რომლის ეკონომიკა ალმაჯობის გზაზეა, შეაჩეროს საქართველოს ეკონომიკის ფინანსური ნგრევა.

— ზოგადად, როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების მუშაობას?

— კარგია დემოკრატია და ერთი კოალიციის ფარგლებში პარტიები. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებისთვის სასაყვედურო თითქოს არაფერია. მნიშვნელოვანია, რას ეფუძნება აზრთა სხვადასხვაობა. ეს მარტო თანამდებობების გამო ერთმანეთისთვის ქოჩრის გლეჯა არ უნდა იყოს. პროგრამებზე მუშაობა, ხედვების ჩამოყალიბება — ეს ჯანსაღი პროცესია. როცა თანამდებობებს ვერ იყოფენ და ამის გამო ინტრიგებია, საკანონმდებლო პროცესის პარალიზებაც ხდება. სხვა საკითხია, რამდენად პროფესიონალი კადრები გვყავს, თუმცა აქვე გეტყვი, რომ არც ერთი პროფესია არ იძლევა ადამიანის დისკრიმინაციის საფუძველს — როგორ შეიძლება, ადამიანის საქმიანობის ხარისხზე პროფესიის მიხედვით ისაუბრო? ვიღაც ფეხბურთელი იყო წარსულში, ვიღაც — მსახიობი, ვიღაც — მხატვარი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, თავისი ქვეყნის განვითარებისთვის წარმატებით ემუშავა. იგივე კახი კალაძის შემთხვევაშიც, ჩემი აზრით, იგი წარმატებულია თავის ახლანდელ საქმიანობაში. ნეტა, მეტი პრობლემა არ ჰქონდეს ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ძალიან ბევრია ისეთი კადრი, რომლის პროფესიონალიზმსაც დიპლომი ვერ ადასტურებს და პირიქით.

შიში ერთ-ერთი იმ ადამიანურ თვისებათაგანია, რომელიც, მეტ-ნაკლებად, ყველას აქვს და, როგორც ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიაში“ ამბობს, საბოლოოდ, ყველა შიში სიკვდილის შიშისკენ მიდის და სწორედ ამის გამო, ბევრი ადამიანი ისეთ რამეს სჩადის, გაცუებისგან პირს ალბ, თუმცა არავინ იცის, როცა სიკვდილს თვალეში ჩახედავ, შენ როგორ მოიქცევი...

მაშინ, როცა თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და უბნებს სამოვები აკონტროლებდნენ, ბევრი ახალგაზრდა უაზროდ დაიღუპა. ვისაც იარაღი ჰქონდა, თითქმის ყველა ის-როდა, ვისაც — არა, შოულობდა და ისიც ისროდა. ამ სროლებს საჯიშე ბიჭები ეწირებოდნენ. საბურთალოელი გურამ ჩ-ც სწორედ ამ ომს შეენირა — სადარბაზოსთან რეზო ქ. დაუხვდა, შუბლზე იარაღი დაადო და სასხლეტს გამოკრა. მკვლელობის მიზეზი მოპარული ავტომობილი გახდა, რომელიც არ თუ ვერ „დავაზერატდა“...

„აი, იმ ტიპს ხომ ხედავ, ყველაზე დიდი რომ არის. ეგ გიორგია, გურამ ჩ-ს ძმა. ახლა იარაღზე დაიჭირეს, მაგრამ არაუშავს, პრისტუნიკია. თავის ძმასთან ახლოსაც ვერ მივა — მაგის ძმა ლეგენდა იყო. დაუმეგობრდი, მოაყოლე ძმის ამბები, დამიჯერე, ბევრს არ ექნება ისეთი ისტორიები, როგორიც მაგას“, — რუსთავის №17 ზონაზე მიყვანილ ახალ პატიმრებს მაცურებელი ათვალეებზე და თან პატიმარი №0578-ს ესაუბრებოდა. „გურამი კი გამიგია, მაგრამ მაგის ძმაზე არაფერი მსმენია. ისე, მართლა რამხელაა, სპორტსმენი იქნება, ალბათ“, — თქვა №0578-მა.

„ჰო, წყალბურთელია, თან ცოტ-ცოტას პრისტუნიკობს ხოლმე. მოკლედ, დამიჯერე, დაელაპარაკე და არ ინანებ“, — ურჩია მაცურებელმა.

„ისე, მთელმა თბილისმა იცის, ამის ძმა ვინ მოკლა, ამასაც ეცოდინება და შური რატომ არ იძია? თბილისში პირადად მყავს ნანახი რეზო და ამას რომ მონდომებოდა, ნახავდა, უეჭველად. არაფერი უპირებს, ვითომ?!“ — დაინტერესდა №0578.

„მაგვირგვინ გითხარა, რომ თავის ძმასთან ახლოსაც ვერ მივა“, — გაელიმა მაცურებელს.

გიორგი ზონას მალე გაუმინაურდა, თბილისელების სასტავში გაითქვიფა, თუმცა №0578-ს ახლოს არ ეკარებოდა. რამდენჯერაც საუბრის დანყება დააპირეს, გიორგიმ იმდენჯერ ცხვირი აიბზუა, მოსაყოლო არაფერი მაქვს, მით უმეტეს, აქ და ამ სიტუაციაში. ის იყო, №0578 საინტერესო ისტორიებზე ხელის ჩაქნევას აპირებდა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: ვილაცამ თქვა, რეზო სწორედ რუსთავის №17-ში მოპყავთო და №0578-მა მაშინვე მაცურებლების კამერას მიაშურა.

„კურდღლას ვთხარა“

რაცომ არ იძია პატიმარმა გიორგი ჩ-მ შური ძმის მკვლელებზე



„ახლა გავიგე, გიორგის ძმის მკვლელები აქ მოპყავთ, თქვენც გეცოდინებათ ეს ამბავი და ასე მშვიდად რატომ ხართ? უთხრათ ნაჩაღნიკს, რომ შეიძლება, უბედურება დატრიალდეს, ეგებ, ან ეს ნაიყვანონ სხვაგან, ან ის არ მოიყვანონ აქ“, — ერთ ამოსუნთქვაზე თქვა №0578-მა.

„დაწყნარდი, არაფერი მოხდება, გიორგას რამის თავი რომ ჰქონოდა, სვაზობაზე ნახავდა მაგას და იქ მოთხოვდა პასუხს. აქ ვერაფერს გაბედავს და თან ეს რეზო ვილაც არ არის, ნახავ შენ თვითონ“, — დაამშვიდეს მაცურებელმა.

ახალი ეტაპი სამ დღეში მოვიდა. პატიმარი №0578 შემოსასვლელთან იდგა და გიორგის თვალებით ეძებდა. მალე იპოვა, ფანჯრიდან იყურებოდა. ახალი პატიმრების ნაკადი მალე გამოჩნდა და №0578-მა თვალი გიორგის მზერას გააყოლა. ის ერთ-ერთს მიშტერებოდა და პატიმარი მიხვდა, რეზო ეს იქნებაო. მაცურებელმა ახალ პატიმრებს ადგილები მიუჩინეს, მერე ყველა კამერაში დაიბარეს, აუხსნეს, რა, როგორ ხდება და ზონამ ცხოვრება ჩვეულებრივად განაგრძო.

მეორე დღეს, №0578-მა დაინახა, როგორ მიესალმნენ ერთმანეთს გიორგი და რეზო, ცალკებად მოიკითხეს და დაშორდნენ.

„შეგიძლიათ, ვინმემ ამიხსნათ, რა ხდება? ძმის მკვლელს ხელს ისე ართმევს, გეგონება, ძველი ძმაკაცი იყოს. რატომ, რისთვის? მტყუანიც რომ ყოფილიყო გურამი, ძმის მკვლელი მაინც ძმის მკვლელია და მისალმებას ვინ აიძულებს? ან მე გავგიჟდი, ან თქვენ ხართ გაიჟები, ყველაფერი ეს ჩვეულებრივი ამბავი რომ გგონიათ“, — ვერ ცხრებოდა №0578.

„მომისმინე, შენა, აქ რამდენი ხანია ხარ და გავებული გექნება ფრაზა „კურდღლას ვთხარა“. კურდღელი კიდევ შიშთან ასოცირდება, კურდღელია, ის ჩემისა და მე რა ვუყო, ხომ ვერ ვეტყვი, შემი ძმის მკვლელი დაბრედ-მეთქი. ამიტომ, შენც

ერთი ადგილი დააყენე და გაჩერდი“, — ურჩია მაცურებელმა. „გასაგებია, შიშით შეიძლება, ბევრს ეშინია, მაგრამ ძმის მკვლელს ყოველდღე როგორ უნდა უყუროს, ნუ გადამრიეთ მართლა“, — არ დანებდა №0578.

„როგორ და მარტივად“, — გაეცინა მაცურებელს. პატიმარი №0578 თავისქნევით გამოვიდა მაცურებლების ოთახიდან და გიორგის კამერაში ავიდა. ის მშვიდად ამზადებდა ჩაის, №0578-ს მიესალმა, ჩაი ხომ არ გინდაო და როცა თანხმობა მიიღო, მეორე ჭიქაც მოამზადა. ჩაის წრუპის დროს, №0578-მა ვერ მოითმინა და დაიწყო:

„სვანებში, ხევსურებში, ფშაველებში, მთიულეებში... ჩენებში და ინგუშებში, მოკლედ, მთის ხალხში დღემდე შემორჩენილია სისხლის ალების ტრადიცია. ვილაც ამას ველურობას ეძახის, დიდი ნაწილისთვის კი მისაღებია. იქ სისხლის ალება ვაჟკაცობად ითვლება და... შენ სადაური ხარ?“, — სასხვათაშორისოდ ჰკითხა №0578-მა.

„იმერელი“, — ჩუმად უთხრა გიორგიმ. „აა... ჰო, იმერეთშიც იყო ერთეული შემთხვევები“, — არ გაჩერდა №0578.

„ვხვდები, რასაც მეკითხები და მოდი, ასე გიპასუხებ — სხვა თემა და სხვა ბაზარია, რა, ეგ. დამიჯერე, რომ ასეა“, — უთხრა გიორგიმ და თავისივე კამერიდან გავიდა.

„არაფრის გამკეთებელი არ არის ეგ კაცი. არ ვიცი, ამას შიში ჰქვია თუ სხვა რამე, მაგრამ რეზოს არაფერს დაუშავებს“, — გამოუცხადა №0578-მა მაცურებელს.

„მოკლედ, ჯერ მომენტი არ ყოფილა და, ასე ვთქვათ, ერთ დღეს, როცა მომენტი იქნება, შენ მოისმენ იმას, რასაც სხვაგან ვერ მოისმენ და რაც ნაკლებ კომენტარს გააკეთებ, მით უკეთესი. გასაგებია?!“ — უთხრა მაცურებელმა და №0578-მაც უხმოდ დაუქნია თავი.

ორიოდე კვირის შემდეგ, №0578-ის კამერაში თბილისელი ვანო შევიდა და პატიმარს ჩუმად უთხრა, მაცურებელმა დაამბარეს, ჩვენთან ჩამოვიდეს და ჩუმად იყოსო. პატიმარი №0578 მაშინვე პირველ სართულზე გაჩნდა. კამერაში შესვლისთანავე დაიძაბა, რადგან მაგიდასთან ოთხი კაცი ჯოკერს თამაშობდა. ამ ოთხიდან ორნი — გიორგი და რეზო იყვნენ.

„მაცუთზე თამაშობენ?!“ — ჩასჩურჩულა ვანოს. „არა, ერთ კოლოფ სიგარეტზე“, — გაუღიმა თბილისელმა. თამაში ჩუმად გაგრძელდა და მოულოდნელად, მაცურებელი №0578-ს მიუტრიალდა.

„შენ რომ გაინტერესებდა ამას ნინათ, გურამა როგორ მოკლესო, ხომ გახსოვს? ჰოდა, აი, ამან მოკლა“, — მიუთითა რეზოზე და თამაში გააგრძელა.

გიორგის შუბლზე ოფლმა დაასხა, მაგრამ ხმა არ გაუღია, რეზომ ირონიულად გაიღიმა, №0578 კი ადგილზე გაშემდა და მხოლოდ ესლა მოახერხა: „როგორ?!“

„როგორ? — შეუბრუნა კითხვა მაცურებელმა, — როგორ და მარტივად — დაუპაღივხდა, იარაღი ამოიღო, შუბლზე დაადო და გამოკრა. ასე იყო, ხო, მგონი, რამე ხომ არ შემეშალა?!“ — ახლა რეზოს მიუბრუნდა მაცურებელი.

„არა, ასე იყო“, — დაუდასტურა რეზომ. №0578-მა გიორგის შეხედა. მართალია, მას მკვდრის ფერი ედო, მაგრამ მშვიდად გარძელება თამაშს.

„კურდღლებს ვთხარა“, — კბილებში გამოსცრა №0578-მა, კამერიდან გავიდა და თან მაცურებლის ლიმილი გაიყოლა. მეორე დილით პატიმარი ისევ მაცურებლებს ეწვია.

„ახლა ან თქვენ ამიხსნათ რა ხდება, ან მართლა გავგიჟდები“, — №0578 უკვე ამკარად აგაადექვატური იყო.

„რა ხდება და, მშობრავა ეგ გიორგა, მაგარი კურდღელია, იმის ეშინია, რომ რეზო მაგასაც მოკლავს, არადა, ხომ ხედავ, მაგისხელა ცალი ფეხი აქვს. პრინციპში, ახლა რომ მოკლას, პასუხს სხვანაირად მოთხოვენ, კაცთან ერთად ყომარობს, ესალმება და გამოდის, რომ პრეტენზია არ აქვს. სულ ეს არის, შიში ძმაო, შიში... სიცოცხლე ტკილია, შიშს კიდევ დიდი თვალეები აქვს“, — უთხრა მაცურებელმა.

„კი, მაგრამ ასეთ კაცთან თქვენ რატომ მეგობრობთ? გვერდით რატომ ისვამთ? ვინ გავალდებულებთ? უთხარით მაინც, არაკაცი ხარ-თქო და გაუშვით, რა“, — ვერ ჩერდებოდა №0578.

„არა, შენ მართლა ვერ გაიგე. მაგას ძალიან კარგი ძმა ჰყავდა, გურამა მგელი იყო, ნამდვილი მგელი, ამ დებილს კი არ ჰგავდა. ძმაკაცების გამო შვიდი ტრუპი ჰყავდა აკიდებული, ეს ბოთე რომ მოეკლა ვინმეს, უეჭველი ისისხლებდა, მაგრამ ეს ცოცხალია, ის — მკვდარი და იმ მკვდრის ხათრით არაფერს ვეუბნებით“, — დაასრულა მონოლოგი მაცურებელმა.

„მაინც, არ ხართ სწორი. ამან ძმობა არ იცის და ძმაკაცობა ეცოდინება?!“ — გაბრაზდა №0578.

„და ვის უნდა რო ამის ძმაკაცობა... დადის, ვარჯიშობს, კუნთებს იყენებს. შეეშვი, რა“, — ურჩიეს მაცურებელმა.

დღეს გიორგიც და რეზოც თავისუფლებაზე არიან, ორივე საბურთალოზე ცხოვრობს და ერთმანეთს ისევ ისე, მშვიდად ესალმებიან.

პარსიანიუსი

სამართალდამცავებმა ეკლესიის ქარღობის ფაქტი გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი არასრულწლოვანი — 2003 წელს დაბადებული ბექა ო. და 2001 წელს დაბადებული ზაზა ს. ქურდობის ბრალდებით, რუსთავში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ არასრულწლოვნები 22 თებერვალს, რუსთავში, ხარების სახელობის ეკლესიაში ღამით შეიპარნენ და შესანიერი ყუთიდან 420 ლარი მოიპარეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულებს ეკლესიაში შესვლის დროს ორი ხატი გაუტყდათ, რომლებიც ეკლესიის სახურავზე გადამაღეს. სამართალდამცველებმა დაზიანებული ხატები ეკლესიის მსახურებს დაუბრუნეს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაკავებული არასრულწლოვნები სამართალდამცველებმა ხელნერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. ბრალდებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).



ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებული დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 6 თებერვალს ქალაქ ქუთაისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალდებული მძღოლი 1990 წელს დაბადებული გიორგი ი. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 6 თებერვალს მისი მართვის ქვეშ მყოფი „გაზ-53“-ის მარკის სატვირთო ავტომობილით ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე ქვეითად მოსიარულეს — 19 წლის ნანა გიგლემიანს შეეჯახა, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და სხვადასხვა სახის ექსპერტიზების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ სხვა სახის ავტომობილს ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული დადასტურებულია შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ „გაზ 53“ მოდელის სატვირთო ავტომობილზე არსებული დაზიანებებით, თავად მძღოლის, მისი მგზავრებისა და სხვა უშუალო თვითმხილველი მონაწილეების ჩვენებებით. ასევე ჩატარებული სასამართლო სამედიცინო, ქიმიურ-ტრასოლოგიური და კომპლექსური ავტოტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, ექვსი სხვადასხვა სათვალთვალ ვიდეოკამერის ჩანაწერების გაშიფვრით და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით.

გამოძიება სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

პოლიციელებმა სისხლი გაიღეს



შს სამინისტრო განაგრძობს მონაწილეობას აქციაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. შს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსმა, მისმა მოადგილემ, ადმინისტრაციის, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველების უფროსებმა და თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად სისხლი გაიღეს.

შს სამინისტრო რამდენიმე წელია თანამშრომლობს მ. იაშვილის სახელობის კლინიკასთან არსებულ „სისხლის ბანკთან“. აღნიშნულ აქციაში უწყების მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

სისხლის ჩაბარების აქცია ქვეყნის მასშტაბით პერმანენტულად იმართება და მასში სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომლები არიან ჩართულნი.

„ვერსიანიუსი“



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

რამდენიმა უსწოები ფაქტი „ოსკარის“ შესახებ

ამ დღეებში ლოს-ანჯელესში, დოლბის კინოთეატრში „ოსკარის“ დაჯილდოების 87-ე ცერემონია შედგა, მაგრამ არის რაღაც, რაც ჯილდოს შესახებ ბევრმა ადამიანმა არ იცის.

კონტრაქტი გაყიდვაზე — თუკი ოსკაროსან მსახიობს ფინანსური სირთულეები შეექმნება, მოოქროვილი ჯილდოს გაყიდვა, ალბათ, გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა, მაგრამ 1950 წლიდან ამის გაკეთება არ შეუძლიათ — ისინი ხელს აწერენ ერთ ემპაქურ ვალდებულებას: თუკი სურვილი ექნებათ, საკუთარი ქანდაკება გაყიდონ, ვალდებულნი არიან, თავდაპირველად, აკადემიას შესთავაზონ მხოლოდ და მხოლოდ ერთ დოლარად.

ყველასთვის ცნობილია, რომ „ოსკარი“ ოქროსია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სინამდვილეში ქანდაკება 24-კრატინი ოქროთია დაფერილი. მეორე მსოფლიო ომის დროს, მეტალის უკმარისობის გამო, აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება, თაბაშირის ჯილდოები გამოეყენებინათ, თუმცა, მიდგომა მაშინვე შეიცვალა, როგორც კი დეფიციტმა ჩაიარა.

უარი „ოსკარზე“ — შეიძლება იფიქროთ, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამ ჯილდოს მიიღებს, სიხარულით ცაში უნდა ფრინავდეს, მარლონ ბრანდომ 1973 წელს უარი თქვა „ოსკარზე“ და მოითხოვა, მისი გადაწყვეტილება ამერიკელი ინდიელების წარმომადგენლისთვის, საშინ ლითლფეზერისთვის ეცნობებინათ. ბრანდომ და საშინმა ასე გამოხატეს პროტესტი ჰოლივუდურ ფილმებში ინდიელების უარყოფითად წარმომჩენისთვის.

1938 წელს, მსახიობი ელის ბრეიდი ისე ავად იყო, დაჯილდოების ცერემონიაზე მისვლის თავი არ ჰქონდა და „ოსკარის“ მიღება, რომელიც ქალის მეორეხარისხოვანი საუკეთესო როლის შესრულებისთვის დაიმსახურა, უცნობ მამაკაცს მიანდო. გასაკვირი არ არის, რომ მამაკაცი გაქრა — მეტად არც ის უნახავს ვინმეს და არც ელისის ჯილდო.

სასიყვარულო წყევლა — საოცარი შედეგები დაიღო კვლევის შედეგად, რომელიც 2011 წელს ჩატარდა: აღმოჩნდა, რომ „ოსკარის“

ლაურეატები, რომელთაც ჯილდო ქალის როლის შესრულებისთვის მიიღეს, 1,68-ჯერ ხშირად ანგრევენ ოჯახს, ვიდრე სხვა ნომინანტები. განქორწინების ამ მაღალ მაჩვენებელს სახელიც მოუძებნეს და „ოსკარის სასიყვარულო წყევლა“ უწოდეს. არადა, მართლაც „ოსკარის“ ბრალია, თუ განქორწინების მიზეზი მეორე ნახევრების წარმატების გამო ეჭვიანობაში უნდა ვეძებოთ, ძნელი გასარკვევია.

მოპარული „ოსკარი“ — 2000 წელს 55 ქანდაკება პორტუგალიაში მოპარეს. მათგან 52 მალე იპოვეს ნაგვის ბუნკერში, კიდევ ერთს მიაგნეს ორი წლის შემდეგ, სპეცოპერაციისას მაიამში, დარჩენილი ორი პრიზი კი დღემდე „უგზოუკვლოდ დაკარგულთა“ სიაშია.

2003 წელს ლოს-ანჯელესში, „კოდაკის“ თეატრის (ჯილდოების გადაცემის ადგილი) რაიონი ასაფრენ ზონად გამოაცხადეს და შედეგად, უსაფრთხოების მიზნით, შეადულეს საკანალიზაციო ქსელის ყველა თავსახური, ირგვლივ კი სნაიპერები და ქიმიური იარაღის აღმოჩენილი სპეციალური ჯგუფი განათავსეს. როგორც ჩანს, ხელისუფლება ცოტათი შეშინებული იყო ამ მოვლენით.

არასერიოზული გამარჯვებულებები — როგორც ჩანს, ყველა ლაურეატი არ აფასებს „ოსკარს“ და მას აგდებულად ეპყრობა. მაგალითად, კომპანია Pixar-ის ლეგენდამ, ჯონ ლესტერმა და პოპულარულმა მსახიობმა ჯეკ ნიკოლსონმა საკუთარ ქანდაკებებს გამოყენების საინტერესო მეთოდი გამოუძებნეს. ლესტერმა თავისი ორი „ოსკარი“ თოჯინა ბარბის კოსტიუმებში გამოაწყო, ნიკოლსონი კი ქანდაკებას ქუდების ჩამოსაკიდად იყენებს.

კრეატიული ჯილდოები — გასაკვირი არავისთვის არის, რომ უოლტ დისნეიმ საკუთარი „ოსკარი“ მიიღო, თუმცა, მისი საპატიო ჯილდო „ფიფქისთვის“ სრულიად განსაკუთრებულია: „ოსკარი“ ერთი დიდი ქანდაკება და მის გარშემო შეიდი პატარა „ჯუჯაა“. დროთა განმავლობაში ჯილდო სახეს იცვლიდა, მაგრამ ის პატივი და პრესტიჟი, რაც მას მოაქვს, დღემდე უცვლელია.



Facebook-ის ექსპონთი მემკვიდრეობით გადაეყვება



პოპულარული სოციალური ქსელი მომხმარებლებს საკუთარი ექსპონთის მემკვიდრეობით გადაეცემას სთავაზობს. ამერიიდან, მომხმარებელს შეუძლია საკუთარი გვერდი სასურველ ადამიანს უანდერძოს, იქნება ეს ოჯახის წევრი, ახლობელი თუ მეგობარი. მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში, მისი გვერდი მემორალურ სტატუსს მიიღებს, მემკვიდრეს კი შეეძლება განათავსოს განცხადება გვერდის მფლობელის გარდაცვალების თაობაზე. ანდერძით, ასევე უფლება აქვს, შეცვალოს წინა მფლობელის ფოტო ან გარეკანის გამოსახულება, ამასთან, მემკვიდრეს არ ექნება წვდომა გარდაცვლილის პირად ნერილებზე და ვერც მისი პაროლით სარგებლობას შეძლებს. მას შემდეგ, რაც acebook ადამიანის სიკვდილის შესახებ შეტყობინებას საგანგებოდ შევსებული ონლაინ-ანკეტის მეშვეობით მიიღებს, სოციალური ქსელი მის მონაცემებში შესწორებას შეიტანს და მისი სახელის თავზე სიტყვა „მოგონება“ გაჩნდება. ახალი ოპცია ამ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ აშშ-ს მოსახლეობისთვისაა ხელმისაწვდომი, თუმცა, სოციალური ქსელის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უახლოეს ხანებში ამ სერვისით სხვა ქვეყნებშიც ისარგებლებენ. ამ დრომდე ქსელი გარდაცვლილის გვერდს აუქმებდა, თუკი მისთვის ეს ფაქტი დოკუმენტურად ცნობილი ხდებოდა.

ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ცობილი გამოცემის, „ფაინენშლ ნიუის“ ექსპერტებმა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგი შეადგინეს, მასზე არსებული საცხოვრებელი ფართის ღირებულების მიხედვით. ყველაზე სასურველი და ძვირფასი ქუჩების სიაში პირველი ადგილი ჰონგკონგში მდებარე სევერნ როუდს ხვდა წილად. ამ ქუჩაზე ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ღირებულება 57 ათას ევროს შეადგენდა, 2012 წლიდან კი ფასმა 9%-ით მოიმატა. მეორე ადგილზე ლონდონის კენსინგტონ პალას გარდენი აღმოჩნდა — აქ ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის 55 ათასი ევრო ღირს. საპატიო მესამე პოზიციაზე გავიდა მონაკოს პრინცესა გრეისის სახელობის ავენიუ, სადაც ფართის ღირებულება, საშუალოდ, 50 ათასი ევროა. „მონინავეთა რიგებში“ შემდეგ სენ ჰოფისის ქუჩა საფრანგეთში, სადაც მხოლოდ 15 სახლია, კვადრატული მეტრის ღირებულება კი 45 ათასი ევროა. ამავე ფასად შეიძენთ საცხოვრებელ ფართს ნიუ-იორკის სახელგანთქმულ მეხუთე ავენიუზეც. რაც შეეხება პარიზის ანატოლის სანაპიროს, აქ ერთი კვადრატული მეტრი 32 ათასი ევრო ღირს. სასურველი და ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგში მოხვდა ასევე ჟენევის რუ ბელოტი და იტალიის პატარა საკურორტო ქალაქ პორტო ჩერვოს ვია რომანინო.



